პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 117 (19259) ოთხშაბათი, 22 მაისი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთწლედი, დამამთავრებელი წელი: დამკვრელური ფინიში!

ხამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის" მიწათმოქმედების ინსტიტუტის სამგორის ექსპერიმენტულ საწარმოში სარეველებისა და მცენარის დაავადებათა წინააღმდეგ გამოყენებული ჰერბიციდები, სიმაზინი და სხვა პრეპარატები ხელს უწყობენ ხიმინდისა და საკვები კულტურების სტაბილური უხვი მოსავლის მიღებას.

სურათებზე: შეაქვთ სიმაზინი სამგორის ექსპერიმენტული მეურნეობის მინდვრებში; მექანიზატორმა ხასან ორუჯევმა თავი გამოიჩინა სარეველებთან ბრძოლის სამუშაოებში.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სამუშაო ადგილების ატესტაცია

ჩვენს რესპუბლიკაში მიზანდასახული, შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციისათვის. ასეთ პირობებში ცხადია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შრომის ორგანიზაციის სრულყოფას, საამისოდ მუშაობის ღრმად გაანალიზებული, მეცნიერულად დასაბუთებული ფორმებისა და მეთოდების დანერგვას, საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

ამ მხრივ ახლა ყურადღების ცენტრში მოექცა სამუშაო ადგილების ატესტაცია და რაციონალიზაცია. იგი დაიწყო ქ. დნეპროპეტროვსკის კ. ე. ვოროშილოვის სახელობის საკომბაინე ქარხნის კოლექტივის ინიციატივით და მოიწონა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა. ამ სიახლის მიზანია საწარმოო სიმძლავრეებისა და შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესება, მათი სრულყოფის დასაბუთებული ღონისძიებების განსაზღვრა. ხდება წარმოების პირველადი და ძირითადი უჯრედის თითოეული სამუშაო ადგილის კომპლექსური გამოკვლევა ტექნიკური და სოციალური ფაქტორების მიხედვით. წარმოების ეფექტიანობის გაზრდის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება წარმოებს ორგანული ურთიერთდაკავშირებით ერთიანი მეთოდოლოგიის საფუძველზე. მის საწყის ეტაპზე განისაზღვრება სამუშაო ადგილების რაოდენობა ტექნოლოგიური გარდაქმნების, პროფესიების, საამქროებისა და უბნების, შრომის მექანიზაციის დონის მიხედვით.

ამჟამად ატესტაცია მიმდინარეობს საწარმოთა დაახლოებით 34 პროცენტში, რომლის დროსაც გამოვლინდა მნიშვნელოვანი რაოდენობის დაუტვირთავი მოწყობილობა. „ელმავალმშენებლის", „ჩარხმშენებლის", „ელექტროაპარატის", „საქლვინომანქანის", „ისნის", „განთიადის" საწარმოო გაერთიანებებში, „საბჭოთა საქართველოს" კამეოლ-მაუდის კომბინატში, კამოს სახელობის სამსხმელო-მექანიკურ ქარხანასა და № 5 პურის ქარხანაში ატესტებულია სამუშაო ადგილების 70 პროცენტზე მეტი. აქედან 4300-ისთვის შემუშავებულია შემდგომი რაციონალიზაციის ღონისძიებანი. უქმდება ბევრი ნაკლებეფექტიანი სამუშაო ადგილი, რის შედეგადაც თავისუფლდება ასობით კვადრატული მეტრი ფართობი და მრავალი მუშაკი.

ძალიან აქტიურად, მთელი მონდომებით მონაწილეობენ სამუშაო ადგილების ატესტაციასა და რეალიზაციაში ჩვენი რესპუბლიკის შრომის სახელმწიფო კომიტეტისა და შრომის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის თანამშრომლები. აქვე დავძენთ, რომ ინსტიტუტის ფილიალში შექმნილია სპეციალური მუშა ჯგუფი, რომელიც ყოველთვის მზად არის მეთოდიკური დახმარება გაუწიოს სამრეწველო საწარმოებს სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის საქმეში. მაგალითად, ზემოხსენებული კომიტეტის ინსტიტუტის ფილიალისა და ფოთის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანებების ინიციატივით, სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის საფუძველზე შრომითი რესურსების მართვის საქალაქო სისტემის დანერგვა პირველად ჩვენს ქვეყანაში ფოთში დაიწყო. აქ უკვე გამოვლინდა 670 ათასი მანეთის დაუტვირთავი მოწყობილობა, ასზე მეტი ნაკლებმწარმოებლური სამუშაო ადგილი. სამუშაო ადგილების რაციონალიზაციას პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტი მიზანმიმართულად უკავშირებს ექსპერიმენტს, რომელიც ხორციელდება ტერიტორიულ-დარგთაშორისი მართვის სრულყოფისათვის. კერძოდ, იქმნება მოწყობილობის ეგრეთ წოდებული „ბანკი", ეს ბანკი ითვალისწინებს მთელ ტექნიკას, რომელსაც სრულად არ იყენებენ საწარმოებში. შეიქმნა შესაძლებლობა, რომ მის საფუძველზე კოორდინაცია გაეწიოს ტექნოლოგიურ კოოპერაციას, გადანაწილდეს ძირითადი ფონდები, მოგვარდეს ან გაიზარდოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, მიზანმიმართულად განაწილდეს შრომითი რესურსები.

სამწუხაროდ, სამუშაო ადგილების ატესტაცია და რაციონალიზაცია ასე წარმატებით ჯერ კიდევ არ მიმდინარეობს ყველგან. არცთუ იშვიათია ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების, საწარმოო გაერთიანების, სხვა ორგანიზაციის მიერ ამ საკითხისადმი ფორმალური მიდგომის შემთხვევა. სამუშაო ადგილების ატესტაცია და რაციონალიზაცია დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საკონსტრუქტორო ბიუროების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრების ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. ამ შრომის ეფექტიანობის ამაღლებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხს მუდმივი კონტროლი უნდა დაუწესონ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა.

სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის სისტემის თავის დროზე და მაღალ დონეზე განხორციელებისთვის მუშაობა უნდა გააძლიერონ რესპუბლიკის მსუბუქი, ადგილობრივი და კვების მრეწველობის სამინისტროების, ღვინისა და ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტების სისტემებში შემავალმა საწარმოებმა.

ყველა საწარმოს ხელმძღვანელი, მთლიანად კოლექტივი უნდა გაეცნონ ამ მხრივ არსებულ ნორმატულ და მეთოდურ მასალებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამუშაო ადგილების ატესტაცია კამპანია არ არის. იგი მუდმივი პროცესია და მას გვერდს ვერავინ აუვლის. ამიტომ, რაც უფრო ადრე დავიწყებთ საამისოდ ზრუნვას, მით უკეთეს შედეგს მივაღწევთ ახლო მომავალში. იგი თითოეული კოლექტივის რიტმული მუშაობის, წარმოების ზუსტი ორგანიზაციის, მოწყობილობის ცვლიანობის კოეფიციენტის გაზრდისა და ყოველივე ამის საფუძველზე, შრომის ნაყოფიერების გადიდების აუცილებელი პირობაა.

სოციალისტურ ვალდებულებებში, რომელიც რესპუბლიკის მშრომელებმა მიმდინარე წლისათვის იკისრეს, გათვალისწინებულია დამთავრდეს მრეწველობაში სამუშაო ადგილების აღრიცხვა და მათი ატესტაცია. ვალდებულება კანონის ძალას იძენს და მას შესრულება სჭირდება. საქმის ასეთი ვითარება უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ვისაც ეს ეხება. ვალდებულება უთუოდ უნდა შესრულდეს. ამით შესაძლებლობა მოგვეცემა გვქონდეს ჩვენი მრეწველობის საწარმოო პოტენციალის ყოველმხრივი და ობიექტური სურათი, უფრო ცხადი გახდება, სად რა გვაქვს წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა მივაღწიოთ გადამწყვეტ შემობრუნებას ინტენსიური განვითარების რელსებზე სახალხო მეურნეობის გადაყვანაში. ჩვენ უმოკლეს დროში უნდა მივაღწიოთ, მოწინავე ვართ მივაღწიოთ, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების მაღალ დონეს. ამის მიღწევაში მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გახდეს ხწორედ სამუშაო ადგილების რაციონალიზაცია. ამიტომ ამ ამოცანის გადაწყვეტაში უნდა უზრუნველვყოთ თვით მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების უშუალო მონაწილეობა. სამუშაო ადგილების რაციონალიზაციის ღონისძიებანი უნდა შევიტანოთ კოლექტიურ ხელშეკრულებებში, სისტემატურად განვიხილოთ ისინი შრომითი კოლექტივების კრებებზე, საწარმოო და პროფკავშირულ თათბირებზე საამქროებში, უბნებში და ბრიგადებში.

სამუშაო ადგილების ატესტაცია ყველაზე მეტ ეფექტს მოგვცემს მაშინ, როცა იგი გადაიქცევა მართვის მუდმივ ფუნქციად, მჭიდროდ რომ უკავშირდება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის მთელ სისტემას. რესპუბლიკის შრომის სახელმწიფო კომიტეტმა დასახა ამ მიმართულებით სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და გაერთიანებების მუშაობის კოორდინაციის ღრმად გააზრებული კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა შესრულება საშური საქმეა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მითითებებიდან და დასკვნებიდან გამომდინარე ამოცანების გადაწყვეტის ღრმად გააზრებული, კონკრეტული სამოქმედო პროგრამა დაგვისახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმმა. მის შესრულებაში მნიშვნელოვნად უნდა დაგვეხმაროს სამუშაო ადგილების დროული ატესტაცია და რაციონალიზაცია. ამით ღირსეულ საჩუქარს მოვუმზადებთ სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებს.

მეშახტის სიტყვა

ტყიბული. (საქ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტის პირველ საექსპლოატაციო უბანში კომკავშირელი ავთანდილ ალექსანდრეს ძე რიჟამაძე ოთხი წლის წინათ მოვიდა სამუშაოდ. გამოცდილი მეშახტე-დამრიგებლების დახმარებით მუყაითი ახალგაზრდა მალე დაეუფლა ქვანახშირის მნგრეველის რთულ პროფესიას და. დამოუკიდებლად შეუდგა მიწისქვეშა სანგრევში მუშაობას. იგი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ტყიბულელ მეშახტეთა ინიციატივას, რომელიც სანგრევის რაც შეიძლება მაქსიმალურ დატვირთვას ითვალისწინებს, და გადაწყვიტა ყოველ ცვლაში გათვალისწინებულზე 2-3 ტონით მეტი ქვანახშირი მოენგრია.

მეშახტის სიტყვა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მტკიცე აღმოჩნდა. ავთანდილმა ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე მუშაობის სწრაფი ტემპი აიღო და მოწინავეთა რიგებში ჩადგა. მის მონგრეულ ქვანახშირს წუნს ვერავინ სდებდა, იგი ყოველთვის მაღალი ხარისხისა და მაღალკალორიული იყო. დამკვრელურ შრომაში გავიდა ხუთწლედის ოთხი წელი და თითქმის ხუთი თვე. ამას წინათ საშახტო კომიტეტმა და შახტის ადმინისტრაციამ შეაჯამეს მოწინავე მეშახტეთა დამკვრელური შრომის შედეგი. გამარჯვებულ მეშახტეთა შორის ავთანდილ რიჟამაძეც აღმოჩნდა. მას პირადი ხუთწლიანი გეგმით 13323 ტონა ქვანახშირი უნდა მოენგრია, ფაქტობრივად კი გაცილებით მეტი — 14855 ტონა მიიღო და პირადი ხუთწლედი ვადაზე ადრე შეასრულა. ახლა იგი მომავალი ხუთწლედის პირველი წლის ანგარიშში შრომობს.

ზვრებსა და ბაღებს მივხედოთ!

8-9 ივნისს ვენახებისა და ხეხილის ბაღების რესპუბლიკური დათვალიერებაა

რესპუბლიკის ზვრებსა და ხეხილის ბაღებში ახლა აგროწესებით ნავარაუდევი სამუშაოები მიმდინარეობს. ბაღ-ვენახების მოვლა-პატრონობის „გაუმჯობესების, მავნებელ-დაავადებათა ლიკვიდაციისა და მოსავლის მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი 8-9 ივნისს აწყობს რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობათა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციათა ვენახებისა და ბაღების რესპუბლიკურ დათვალიერებას.

დათვალიერების მაღალ დონეზე მოწყობისათვის რესპუბლიკურ, საოლქო და რაიონულ, აგრეთვე თითოეულ საზოგადოებრივ მეურნეობასა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციაში შეიქმნა კომისიები. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების დამთვალიერებელმა კომისიებმა 7 ივნისამდე რაიონულ კომისიებს უნდა წარუდგინონ დათვალიერების მასალები.

რაიონულმა დამთვალიერებელმა კომისიებმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ თითოეული საზოგადოებრივი მეურნეობის, აგროუბნისა და ბრიგადების ბაღ-ვენახების დამუშავების მდგომარეობა, შეაფასონ იგი ხუთბალიანი სკალით; პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ზომების მისაღებად შეიტანონ იმ საზოგადოებრივი მეურნეობის აგროგანყოფილების და ბრიგადების ხელმძღვანელთა საკითხი, რომელთა მუშაობა შეფასდება ორი და სამი ბალით.

მასალები დათვალიერების საბოლოო შედეგების შესახებ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს უნდა წარუდგინონ 12 ივნისამდე.

მევენახეებო და მეხილეებო! ყოველგვარი სამუშაო აგროვადებში და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა არსად არ დარჩეს მოუვლელი ვენახი და ბაღი.

საღლეისო თემაზე

კვლავ ჯართის თაობაზე

ოთხი თვის მაჩვენებლების მიხედვით მეორეული ლითონის დამზადების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. სამინისტროების, საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მეტი გულისყურით მოეკიდნენ ამ საქმეს და შედეგმა, როგორც ხედავთ, არ დააყოვნა. მდგომარეობის გაუმჯობესებაში დიდი როლი შეასრულა იმ ფაქტმაც, რომ პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მკაცრი კონტროლი დაუწესეს მომხმარებლისთვის ჯართის მიწოდების მსვლელობას.

ამაზე მეტყველებს ისიც, რომ გაზეთ „კომუნისტის" 1985 წლის 19 მარტის ნომერში დაბეჭდილ წერილზე „ჯართის დამზადება საფრთხეშია" მივიღეთ გაკრიტიკებული რაიონებისა და ქალაქების პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხები, იმის თაობაზე, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ ისინი მეორეული ლითონის სახელმწიფოსათვის დროული და ხარისხიანი ჩაბარებისათვის.

ყველაფერი, რაც ზემოთ აღინიშნა, კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ მაისში, რატომღაც, კვლავ რჩება ეს საკითხი მხედველობის არიდან ზოგიერთ ორგანიზაციას. თვე იწურება და გეგმით გათვალისწინებული 36 ათასი ტონიდან მეტალურგიულ და მანქანათსაშენებელ ქარხნებს გაეგზავნათ მხოლოდ 21 ათასი ტონა. ნუთუ კვლავ თავიდან უნდა დავიწყოთ ყველაფერი და გაუთავებლად ვილაპარაკოთ ჯართზე?

ნუ დავივიწყებთ, რომ მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმების შესრულება წარმოუდგენელია ულითონოდ: დაუყოვნებლივ უნდა მივხედოთ საქმეს! სასწრაფოდ უნდა გაისტუმრონ ჯართის დავალიანება ოთხი თვის მაჩვენებლების მიხედვით თბილისის ლენინისა და კიროვის რაიონებმა, ბოგდანოვკის, გეგეჭკორის, ლენტეხის, მესტიის, თერჯოლის, თიანეთის, ხობის, წალენჯიხის და წალკის რაიონებმა, აფხაზეთის სს რესპუბლიკამ — 281 ტონა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა — 67 ტონა. განსაკუთრებით ბევრი ლითონი დააკლეს სახელმწიფოს ამ პერიოდში თბილისის „ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანებამ, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელმა ქარხანამ, რუსთავის „აზოტის" საწარმოო გაერთიანებამ, „საქმთავარწყალმშენმა", მშენებლობის სამინისტრომ, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ, ქუთაისის ლითოფონის ქარხანამ.

მაისში ჯართის ჩაბარების ტემპს უნდა უმატონ ქალაქებმა ქუთაისმა, გორმა, ზუგდიდმა, მარნეულმა, თბილისის ლენინის, პირველი მაისის, ორჯონიკიძის, კიროვის და საქარხნო, ახალქალაქის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გურჯაანის, ქარელის, კასპის, ლანჩხუთის, სიღნაღის, თელავის და წითელწყაროს რაიონებმა.

მეგობრული შეხვედრა

21 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მოძმე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების ეკონომიკის საკითხთა დარგის მდივნების თათბირის მონაწილენი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. ხრისტოვი; ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბულგარეთის სახალხო საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში ა. ლუკანოვი; გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. მიტაგი; კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი ლ. სოტო; მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. მოლომჟამცი; მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. გომბოჟავი; პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ბარჩიკოვსკი; რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვერდეცი; რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრობის კანდიდატი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში ი. ტოტუ; უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. ხავაში; ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. იაკეში.

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ი. რიჟკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი.

თავის გამოსვლაში მ. ს. გორბაჩოვმა მაღალი შეფასება მისცა თათბირის მუშაობას, აღნიშნა მოძმე პარტიების ცენტრალური კომიტეტების ეკონომიკურ საკითხთა დარგის მდივნების შეხვედრის დიდი მნიშვნელობა. მან ხაზი გაუსვა აგრეთვე, თუ რაოდენ აუცილებელია შესრულდეს მოსკოვის 1984 წლის უმაღლესი დონის ეკონომიკური თათბირის გადაწყვეტილებანი. ყურადღება მიექცა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სოციალურ და სამეურნეო წარმატებებს. ამასთანავე აღინიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო ღრმად იქნეს გამოყენებული სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის რეზერვები თანამედროვე გადიდებული მოთხოვნებისა და გართულებული საერთაშორისო ვითარების გამო. საგანგებოდ გაესვა ხაზი, თუ რაოდენ საჭიროა განვითარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და გაღრმავდეს საწარმოო კოოპერაცია და სპეციალიზაცია.

აღინიშნა, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს ყველაფერი აქვთ საამისოდ, რომ დააჩქარონ თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მიაღწიონ მშრომელთა კეთილდღეობის მნიშვნელოვან ამაღლებას.

მ. ს. გორბაჩოვმა დამსწრეთ გაუზიარა ზოგიერთი მოსაზრება საბჭოთა კავშირის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის გზების შესახებ. მან განმარტა სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებათა მიზანი და აზრი, ილაპარაკა პარტიის XXVII ყრილობის სამზადისის შესახებ.

შეკრებილთა სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. მიტაგმა. მან მადლობა მოახსენა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და პირადად მ. ს. გორბაჩოვს გულახდილი საუბრისათვის, კმაყოფილება გამოთქვა ცენტრალური კომიტეტების მდივანთა თათბირის გამო.

მ. ს. გორბაჩოვისა და მოძმე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნების შეხვედრა გულითად, მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. (საკდესი).

ოფიციალურ ვიზიტად

საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით 21 მაისს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი რ. განდი.

აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

აეროდრომიდან ავტომანქანების კორტეჟი მოტოციკლისტების საპატიო ესკორტის თანხლებით კრემლისაკენ მიემართება.

კრემლში, კრემლის დიდი სასახლის მოედანზე რ. განდის შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

კრემლში გამართულ შეხვედრის ცერემონიას დაესწრნენ ნ. ა. ტიხონოვი, ა. ა. გრომიკო, პ. ნ. დემიჩევი, ს. ლ. სოკოლოვი, ი. ვ. არხიპოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

სურათზე: კრემლში შეხვედრის დროს.

(საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო).

ამხანაგური საუბარი

20 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრი ჯ. ჩერვეტი. საუბარმა გულთბილ, ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა.

(საკდესი).

მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრს

20 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრი მ. ბოლდრიჯი, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის საკითხთა სამთავრობათაშორისო კომისიის სესიაზე, და ესაუბრა მას. საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ამ კომისიის სესიაზე, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ა. ჰარტმანი და თეთრი სახლის აპარატის თანამშრომელი ჯ. მეტლოკი.

მინისტრმა მ. ბოლდრიჯმა მ. ს. გორბაჩოვს გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის წერილი, რომელშიც ზოგადად გამოთქმულია სურვილი ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ვაჭრობის გაფართოების შესახებ.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ახლანდელი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ადგას საბჭოთა კავშირის დისკრიმინაციის პოლიტიკას, ცდილობს ჩაერიოს მის საშინაო საქმეებში, ვაჭრობა გამოიყენოს პოლიტიკური ზეგავლენის საშუალებად.

მთლიანად საქმის ასეთი ვითარება სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირურთიერთობაში ხაზი გაუსვა მ. ს. გორბაჩოვმა, იმ რთული და დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობის შედეგია, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე შეიქმნა ორ ქვეყანას შორის. საბჭოთა კავშირს არ სურდა ყოფილიყო ურთიერთობის ასეთი მდგომარეობა და არც მისი წარმოქმნისათვის შეუწყვია ხელი. ჩვენ გვინდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან გვქონდეს სტაბილური ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად დაედება თანასწორობა და ერთმანეთის კანონიერი ინტერესების პატივისცემა. კონფრონტაციის პოლიტიკა, რომელმაც უკვე მარცხი განიცადა ახლო წარსულში, განსაკუთრებით საშიშია თანამედროვე პირობებში, რადგან მან შეიძლება კატასტროფული შედეგები მოუტანოს ბევრ ხალხს, მათ შორის ამერიკელ ხალხსაც. ამავე დროს გამოცდილება მოწმობს, რომ არსებობს ობიექტური წანამძღვრები სხვადასხვა დარგში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეფექტიანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის. აქედან დასკვნა, რომ დროა გავალხოთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის გაყინული პოტენციალი, გამალებული შეიარაღება და მტრობის ესკალაცია კი გავაყინოთ, უფრო ზუსტად — შევაკვეცოთ. ამ თვალსაზრისით ორივე ქვეყნის საქმიანმა ურთიერთობამ შეიძლება თავისი როლი შეასრულოს. ამის შესაძლებლობანი არის, მაგრამ მხოლოდ თანასწორობის, ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. მთავარია აღვადგინოთ ერთმანეთისადმი ნდობის კლიმატი ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში.

განიხილეს აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ზოგიერთი სხვა ასპექტი.

(საკდესი).

ბ. კრაქსი ვიზიტად ჩამოვა სსრ კავშირში

საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით მაისის დამლევს საბჭოთა კავშირში ვიზიტად ჩამოვა იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. კრაქსი. მასთან ერთად ჩამოვა საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. ანდრეოტი. (საკდესი).

კადრების სწავლება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული, საბჭოთა და საორგანიზაციო... კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში დამთავრდა სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელ მუშაკთა ჯგუფის სწავლება. ერთი თვის მანძილზე ისინი სწავლობდნენ განვითარებული სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის, სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების მიხედვით პარტიის ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობის აქტუალურ საკითხებს.

სასწავლო პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პარტიული და საბჭოთა მშენებლობის, სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის სტილის, მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნების სულისკვეთებით ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვის საკითხებს. დიდი ადგილი დაეთმო პრობლემებს, რომლებიც ეხება საბჭოების როლის გაძლიერებას კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, სოციალისტური კანონიერების, საზოგადოებრივი წესრიგისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების უზრუნველყოფაში.

სწავლების პროცესში, ლექციებთან და საუბრებთან ერთად, ფართოდ მოეწყო „საქმიანი თამაშები" ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით, გამსვლელი პრაქტიკული მეცადინეობა, საუბრები „მრგვალ მაგიდასთან" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელ მუშაკთა მონაწილეობით.

მსმენელები იყვნენ ქალაქ თბილისის ოქტომბრის, კიროვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების რაიაღმასკომებში, გარდაბნის რაიონული საბჭოს აღმასკომში, სადაც გაეცნენ მათი აპარატის მუშაობას, სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვისა და მართვის ექსპერიმენტებს.

წარმოდგენილი რეფერატების საფუძველზე გაიმართა სემინარი მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით.

სწავლების დროს მსმენელებს შეხვდნენ ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ჯ. შ. პატიაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. შითანავა, ჟ. კ. შარტავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ბ. ზ. ბარსუკოვი, ო. მ. ივანიშვილი, ა. ი. კავსაძე, ნ. რ. საჯაია, ლ. გ. ხაბურზანია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე შ. ვ. ყარყარაშვილი, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ადმინისტრაციული ორგანოების, შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები, პრესის მუშაკები.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

დანაკარგებს უყაირათობა იწვევს

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა იმსჯელა თბილისის ზოგიერთ საწარმოში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მდგომარეობის შემოწმების შედეგებზე და სათანადო დადგენილება მიიღო.

როგორც კომიტეტის მიერ მოწყობილი მორიგი მასობრივი შემოწმებით გამოირკვა, „კავკასელექტროქსელმშენის“ ტრესტის თბილისის სამშენებლო კონსტრუქციების კომბინატში, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს თბილისის ბეტონისა და რკინაბეტონის ნაკეთობათა საწარმოში, საქართველოს სსრ სახმომარაგების უქსოვი ფართლეულის ფაბრიკასა და სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქყოფქიმიაში“ არადამაკმაყოფილებელია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვისადმი კონტროლი, არ სრულდება უყაირათობისა და მფლანგველობის ფაქტების აღკვეთის თაობაზე პარტიისა და მთავრობის მოთხოვნები.

სამშენებლო კონსტრუქციების კომბინატის ხელმძღვანელებმა და უწინარესად მთავარმა ინჟინერმა ლ. ტყებუჩავამ არ დააწესეს კონტროლი მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის უზრუნველყოფისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ყაირათიანი გამოყენების საქმეში. რის შედეგად აქ გამოვლინდა ანგარიშგების დამახინჯებისა და თვალის ახვევის ფაქტები. მაგალითად, სტატისტიკურ ანგარიშებში სხვა ორგანიზაციებზე გაცემული 2216 გიგაკალორია თბოენერგია აჩვენეს, როგორც სხვადასხვა სახის საწარმოო მოხმარებაზე დახარჯული ენერგია, ამასთან ხელოვნურად გაზარდეს ელექტროენერგიის ეკონომია.

კომბინატში, მართალია, აქვთ საამქროების მიხედვით ელექტროენერგიის ხარჯვის აღრიცხვის ხელსაწყოები, მაგრამ არ იყენებენ.

შემოწმებით დადგინდა, რომ თბოტრასის ცალკეულ უბნებზე იზოლაციის და საშრობ კამერებში დრენაჟების უქონლობამ შეიძლება 440 გიგაკალორია პირობითი წლიური დანაკარგები გამოიწვიოს, რაც თბოენერგიის წლიური მოხმარების 4 პროცენტს უდრის.

სერიოზული ნაკლოვანებებია ბეტონისა და რკინაბეტონის ნაკეთობათა საწარმოს (მთავარი ინჟინერი — ქ. ბერაძე) ენერგეტიკული სამსახურის ორგანიზაციაში. აქ არ ადგენენ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის სტატისტიკურ ანგარიშებს, რაც ინსტრუქციის სერიოზული დარღვევაა. 1981 წლიდან არ გადასინჯულა მათი ხარჯვის ნორმები. 1984 წელს შემუშავებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები ფორმალურია.

გარეშე ორგანიზაციებიდან მიღებული ორთქლის საზომების უქონლობის შედეგად თბოენერგიის ხარჯვისათვის ანგარიშსწორებას აწარმოებენ არა ფაქტობრივი მაჩვენებლის, არამედ ხელშეკრულებაში აღნიშნული მოხმარების მაქსიმალური მოცულობის მიხედვით. დადგინდა, რომ 1982 წლის მარტიდან არ იყო განაღდებული სოფელ საგურამოში ინერტული მასალების წარმოების საქვეუწყებო უბნის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება. რეაქტიული სიმძლავრის უკმარკომპენსაციის, საკომპრესორო ჰაერის გაპარვის, თბოტრასებზე იზოლაციის უქონლობისა და ორთქლის დანაკარგების გამო ელექტროენერგიის პირობითი დანაკარგები წლიწადზე გადაანგარიშებით 15 ათას კილოვატს, ხოლო თბოენერგიისა — 100 გიგაკალორიას შეადგენს, რაც შესაბამისად წლიური მოხმარების 4 და 3,1 პროცენტია.

უქსოვი ფართლეულის ფაბრიკაში (მთავარი ინჟინერი — ნ. შონია) საჭირო ყურადღებას არ უთმობენ ენერგორესურსების ნორმირებისა და ეკონომიური ხარჯვის საქმეს. ფაბრიკაში შემუშავებული ნორმები ტექნიკური გაანგარიშებებით არ არის დასაბუთებული, არ შეესაბამება დარგობრივ ინსტრუქციებს. 1984 წლის სტატისტიკურ ანგარიშში ელექტროენერგიისა და სათბობის ეკონომიის მაჩვენებლები ხელოვნურადაა გაზრდილი შესაბამისად 2 ათასი კილოვატისა და 35 ტონა პირობითი სათბობის ოდენობით.

საწარმოო გაერთიანება „საქყოფქიმიაში“ (მთავარი ინჟინერი — მ. ბაკურაძე) არ ხორციელდება ენერგოსისტემის პიკური დატვირთვის საათებში მოხმარებული სიმძლავრის შეზღუდვის ღონისძიებები, დაგეგმილი ეკონომია მხოლოდ ნაწილობრივაა დასაბუთებული ტექნიკური გაანგარიშებებით. სრულად არ იყენებენ ეკონომიის ისეთ სერიოზულ რეზერვს, როგორიცაა გამოსასვლელ დღეებში ორი არსებული მაღლივი ტრანსფორმატორიდან ერთის გამორთვა.

გამოვლენილი დარღვევები და ნაკლოვანებები ცხადყოფს, რომ შემოწმებულ საწარმოთა ხელმძღვანელები კრიტიკულად არ აფასებენ შექმნილ მდგომარეობას, შეასუსტეს მომთხოვნელობა შესაბამისი სამსახურებისადმი მათ მიერ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნედ გამოყენების, რეზერვების გამოვლენისა და მათი ეკონომიის დავალებათა უთუო შესრულების საქმეში.

ენერგორესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საჭირო ზომებს არ მიმართავენ ამ საწარმოთა სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, სუსტად ავლენენ არსებულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს, არ სთხოვენ პასუხს უყაირათობასა და მფლანგველობაში დამნაშავე პირებს.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებით, უკონტროლობისათვის, ანგარიშგების დამახინჯებისათვის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების უყაირათო ხარჯვისათვის ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ თბილისის სამშენებლო კონსტრუქციების კომბინატის მთავარ ინჟინერს ლ. ტყებუჩავას გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

ენერგეტიკული სამსახურის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, უყაირათობისათვის და ენერგორესურსების მნიშვნელოვანი არარაციონალური ხარჯვისათვის საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს თბილისის ბეტონისა და რკინაბეტონის ნაკეთობათა საწარმოს მთავარ ინჟინერს ქ. ბერაძეს გამოეცხადა საყვედური.

შესაბამისი ქვედანაყოფების იმ ხელმძღვანელებისადმი სათანადო მომთხოვნელობის დაუწესებლობის გამო, რომლებმაც დაუშვეს უყაირათობა ენერგორესურსების ხარჯვაში, საქართველოს სსრ სახმომარაგების უქსოვი ფართლეულის ფაბრიკისა და საწარმოო გაერთიანება „საქყოფქიმიის“ მთავარ ინჟინრებს ნ. შონიასა და გ. ბაკურაძეს მკაცრად მიეთითათ. ისინი გააფრთხილეს, რომ თუ არ მიიღებენ საჭირო ზომებს შემოწმებით გამოვლენილ დარღვევათა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, მკაცრად დაისჯებიან.

ლ. ტყებუჩავას, ქ. ბერაძეს, ნ. შონიასა და გ. ბაკურაძეს დაევალათ გამოვიდნენ შრომელთა კოლექტივების წინაშე ინფორმაციით ამ შემოწმების შედეგებისა და გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღმოფხვრისათვის მიღებული ზომების შესახებ.

მასების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 207

გარემო ჩვენი სუნთქვაა

გარემოსა და ბუნების დასაცავად ამ ბოლო დროს ქობულეთის რაიონშიც ბევრი რამ გაკეთდა. საექსპლოატაციოდ გადაეცა დასასვენებელ სახლ „მეუჭურას“ გამწმენდი ნაგებობა. შენდება დასასვენებელი სახლების „მეცნიერებისა“ და „ციხისძირის“ გამწმენდი ერთიანი ნაგებობა. მაგრამ გაკეთებული ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც რაიონის ზღვისპირეთის, საკურორტო ზონისა და მიმდებარე სოფლების წინაშე დგას. გაჭიანურდა ახალი საკანალიზაციო-გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, რომელიც უნდა მიუერთდეს მახარაძე-ურეკის საკანალიზაციო ქსელს. ამ მიზეზით ქალაქის ნახმარი წყლების ნაწილი გაუწმენდავი უერთდება მდინარე შაველელს.

დაუდევრობას იჩენენ ჩაქვის № 6 ავტოტექმომსახურების, ჩაქვის № 2 და ჩაის საწნეხი ფაბრიკების ხელმძღვანელები. ისინი ნავთობპროდუქტებითა და გაუწმენდავი წყლებით ანაგვიანებენ მდინარეს.

უმოქმედოდაა ქობულეთის საკონსერვო ქარხნის გამწმენდი ნაგებობა, ხოლო რაისამრეწველო კომბინატის ლიმონათისა და ჩაის ექსტრაქტის სასმელების დამამზადებელ საამქროს საერთოდ არა აქვს ასეთი ნაგებობა. ნაკელწუნწუხით აბინძურებს მდინარე ჩოლოქს მეფრინველეობის სამეურნეობათშორისო ფაბრიკაც, რადგან გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის დამთავრებას საშველი არ დაადგა.

სანაკელე და საწუნწუხე ორმოების ტექნიკური გაუმართაობით აჭუჭყიანებენ მდინარეებს ჩახათის, ციხისძირის, დაგვას, სოფელ ქობულეთისა და ზედა კვირიკეს კოლმეურნეობების ფერმებიც.

გარემოს დაცვა საერთო საქმეა, არავის არ ეპატიება მისი უგულებელყოფა.

თ. ამაღლობელი,
სახალხო კონტროლის ქობულეთის რაიონული კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.

ჯარიმები სახელმწიფო ჯიბიდან?!

889,7 ათასი მანეთი!—სწორედ ამდენი ჯარიმა გადაიხადეს შარშან მახარაძის რაიონის ფაბრიკებმა და ქარხნებმა სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევის — პროდუქციის მიუწოდებლობის ან უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის. თანაც ეს ციფრი 1,5-ჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებლებს.

ეს ფაქტი იმის თქმის უფლებას როდი გვაძლევს, რომ რაიონში სათანადო ყურადღება არ ექცეოდეს სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცების, უხარისხო პროდუქციის გამოშვებითა და მიწოდების ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული არამწარმოებლური ხარჯების შემცირების საკითხებს. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ აქაურ სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობამ გააუმჯობესა მუშაობა ამ მხრივ, მკვეთრად შეამცირა უხარისხო პროდუქციის გამოშვების შემთხვევები, რაც ნათლად აისახა ამ საწარმოთა ეკონომიკურ მაჩვენებლებში. ასეთ საწარმოთა შორის შეიძლება დავასახელოთ აბრეშუმის ძაფსახვევ-საძახავი ფაბრიკა, რაისამრეწველო კომბინატი, მაღაროთსამმართველო და ბევრი სხვა.

მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ზოგიერთ ორგანიზაციაში, და უწინარესად კი ჩაის გადამამუშავებელ საწარმოებში, სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვის მხრივ მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა სახალხო მეურნეობას.

ახლა მეორე ციფრსაც დავასახელებთ — 710,9 ათასი მანეთი. ზემოთ მოტანილი საჯარიმო თანხიდან სწორედ ამდენი მოდის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანებაზე (გენერალური დირექტორი — გ. ბაბილოძე). აქედან 428,5 ათასი მანეთი უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის გადაიხადეს, ხოლო 247,3 ათასი მანეთი — პროდუქციის დაგვიანებით მიწოდებისათვის.

შარშან, აპრილში პარტიის მახარაძის რაიკომის ბიურომ არასაკმარისად ჩათვალა ამ მიმართულებით საწარმოო გაერთიანების და მასში შემავალი ფაბრიკების ხელმძღვანელების მუშაობა. მაგრამ მათ აქედან სათანადო დასკვნები როდი გამოიტანეს, პირიქით შეიძლება ითქვას, რომ საქმე უფრო გაუარესდა. პროდუქციის მიუწოდებლობისა და უხარისხობისათვის მათ მიმართ გამოყენებული სანქციების ოდენობა 1984 წელს ორჯერ გაიზარდა. ეს მაშინ, როცა გასული წლის სეზონისათვის ზემდგომმა ორგანოებმა გაერთიანების ჩაის ფაბრიკებს ნედლეულის ხარჯვის გადიდებული კოეფიციენტი დაუგეგმეს, რაც მათ პროდუქციის ხარისხის საგრძნობი გაუმჯობესების საშუალებას აძლევდა. სამწუხაროდ, ეს რეზერვი ფაბრიკების უმრავლესობამ ვერ გამოიყენა. მართალია, პროდუქციის საშუალო გასაყიდი ფასის უმნიშვნელო ზრდის შედეგად მიაღწიეს წინა წელთან შედარებით სასაქონლო პროდუქციის მატებას 1536,5 ათასი მანეთით, მაგრამ ამ თანხამ ვერ გადაფარა ზედმეტად დახარჯული ნედლეულის ღირებულება და საბოლოოდ გაერთიანებამ ერთ მილიონ მანეთზე მეტი იზარალა.

ჯარიმას გადაიხდი და არამწარმოებლური ხარჯებიც საგრძნობლად იზრდება. ასე დაემართათ ბაილეთის, პირველ და მეორე, ლიხაურის, მაღალი ეწერის, ბახვის ჩაის ფაბრიკებს (დირექტორები — თ. გუბელაძე, ფ. თავდიშვილი, ლ. გირკელიძე, ა. ხავთასი, ბ. მეხუზლა, დ. მეგრელიშვილი). თითოეულმა მათგანმა დამატებით 200-250 ტონა ნედლეული გადახარჯა, პროდუქციის ხარისხის შესამჩნევ გაუმჯობესებას ვერ მიაღწია, არამწარმოებლური ხარჯები კი საკმაო რაოდენობით გაიღო.

მართალია, ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ (დირექტორი — ქ. გულუა) შარშან საგრძნობლად შეამცირა უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის გადახდილი ჯარიმების რაოდენობა (1983 წელს — 77 ათასი მანეთი, 1984 წელს — 33 ათასი მანეთი), მაგრამ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისათვის სხვა ხერხს მიმართა — მოახდინა მათი კორექტირება. ანასეულისა და შემოქმედის ექსპერიმენტულ ფაბრიკებს 1053,4 ათასი მანეთით შეუმცირა იგი, თანაც ეს ღონისძიება ნოემბერ-დეკემბერში განახორციელა. უფრო მეტიც, გაერთიანების წარდგინებით ჩაის მრეწველობის მთავარმა სამმართველომ ანასეულის ფაბრიკის გეგმის კორექტირება (შემცირება) მოახდინა 31 დეკემბერს (263,9 ათასი მანეთით). საგულისხმოა, რომ ფაბრიკამ დაახლოებით ამ [illegible] ვერ შეძლო რეალიზაციის სავეგმო დავალების შესრულება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ შეამცირა უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის გადახდილი ჯარიმების [illegible] და მისი ექსპერიმენტული ფაბრიკები, სხვა ვინ როგორ უნდა ზრუნავდეს პროდუქციის მაღალ ხარისხზე. მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ მათი ნაწარმი საგრძნობლად ჩამორჩება რაიონის სხვა ჩაის ფაბრიკების საშუალო ხარისხობრივ მაჩვენებლებს (?!). ანასეულის ფაბრიკის ნაწარმი ამ საშუალო დონემდეც რომ ამაღლებულიყო, 134 ათასი მანეთის დამატებით სასაქონლო პროდუქციას მიიღებდნენ, შემოქმედში კი 438 ათასი მანეთისას. გაუმჯობესებას ვინღა ჩივის, საგანგაშო ისაა, რომ ორივე ფაბრიკამ წინა წელთან შედარებით გააუარესა პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ამ მხრივ სახარბიელო მდგომარეობა არც ჩაის ნატურალური კონცენტრატების ექსპერიმენტულ კომბინატშია (დირექტორი — გ. მამეიშვილი). აქ შარშან 105 ათასი მანეთი ჯარიმა გადაიხადეს, აქედან უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის — 45 ათასი, ხოლო 1983 წელს პროდუქციის მიუწოდებლობისათვის — 60 ათასი მანეთი.

დიახ, ჯარიმა ჯარიმაზე მოდის, მის გადაუხდელობას ვის შეარჩენენ, მაგრამ საკითხავია, ვისი ჯიბიდან იხდიან ასიათასობით მანეთს? რასაკვირველია, ისევ და ისევ ფაბრიკების, ესე იგი სახელმწიფოს ჯიბიდან!

როგორც ჩანს, ეს გარემოება დიდად არ აწუხებთ არც ზემოთ დასახელებული საწარმოების ხელმძღვანელებსა და არც აქაურ სახალხო კონტროლიორებს. ეს უკანასკნელნი ღრმად არ წვდებიან საქმის ვითარებას, რის გამოც ვერ ან არ ამჩნევენ ამ ორგანიზაციებისათვის მიყენებულ დიდ მატერიალურ ზარალს და კონკრეტულ დამნაშავეთა მიმართ არ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებებს.

ამას წინათ პარტიის მახარაძის რაიკომმა განიხილა ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების, სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებისა და ჩაის ნატურალური კონცენტრატების კომბინატის მიერ პროდუქციის მიწოდებაზე სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ სახალხო კონტროლის კომიტეტისა და პარტიული კომისიის მიერ მომზადებული საკითხი და შესაბამისი ღონისძიებები განახორციელა.

ამ დღეებში კი სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მსჯელობის საგანი გახდა ეს საკითხი და ბაილეთის, პირველი და მეორე, ბახვის ჩაის ფაბრიკების დირექტორებს თ. გუბელაძეს, ფ. თავდიშვილს, ლ. გირკელიძეს, დ. მეგრელიშვილს გამოეცხადა საყვედური. მათვე სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით დაეკისრათ ფულადი დარიცხვა: თ. გუბელაძეს — სამი თვის, ლ. გირკელიძეს, დ. მეგრელიშვილს — ორ-ორი თვის, ხოლო ფ. თავდიშვილს — ერთი თვის ხელფასის შესაბამისი ოდენობით (ლიხაურისა და მაღალი ეწერის ფაბრიკების დირექტორების ა. ხავთასისა და ბ. მეხუზლას პასუხისმგებლობის საკითხი ცალკე განიხილება).

სახელშეკრულებო ვალდებულებას კანონის ძალა აქვს და მისი დარღვევისათვის, უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობა რაც შეიძლება მკაცრი უნდა იყოს. ცხადია, განხორციელებული ღონისძიებები საქმეს უნდა შველოდეს.

ვ. სიმონიშვილი.

სრულყოთ ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობა

ჯგუფები და საგუშაგოები სახალხო კონტროლის ორგანოთა მთელი სისტემის საფუძველია, ყველაზე უფრო მასობრივი რგოლია. ამიტომ, ბუნებრივია, მათს ბრძოლისუნარიანობაზე ბევრად არის დამოკიდებული მთელი სისტემის გამართული მუშაობა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ სახალხო კონტროლიორთა საკავშირო თათბირმა და სახალხო კონტროლის ორგანოების რესპუბლიკურმა აქტივმა ამოცანად დაგვისახეს, მკვეთრად ავამაღლოთ ჯგუფებისა და საგუშაგოების, ცალკეულ კონტროლიორთა აქტიურობა, მათი მუშაობის მიზანსწრაფულობა და შედეგიანობა.

სკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის 17 იანვრის დადგენილებაში „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე“ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „შესრულების შემოწმების ქმედითობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სახალხო კონტროლის ორგანოების სისტემის ყველაზე მასობრივ რგოლზე— ჯგუფებსა და საგუშაგოებზე, მათი მუშაობა ყოველმხრივ უნდა გაუმჯობესდეს, უნდა უზრუნველვყოთ მასში ყველა სახალხო კონტროლიორის აქტიური მონაწილეობა“.

ეს ფუძემდებლური დებულება მთელი ჩვენი მუშაობის ნამდვილი პროგრამა, სამოქმედო და სამოღვაწეო განაწესი გახლავთ.

სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები ყველა საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაშია შექმნილი. სახალხო კონტროლიორები მუშაობენ ყველა უბანზე, ყველა რგოლში, ახლო დგანან წარმოების პროცესთან, კოლექტივის წევრებთან და საშუალება აქვთ დროზე შენიშნონ ნაკლი და მოსალოდნელი დარღვევა, მიიღონ საჭირო ზომები. ამიტომაც ამ ძირეული რგოლების, სახალხო კონტროლიორების საქმიანობაში მთავარი მიმართულება უნდა იყოს პროფილაქტიკა, ადამიანებზე კეთილი ზემოქმედება, დარღვევებისა და ჩავარდნების თავიდან აცილება, დისციპლინის განმტკიცებისა და კოლექტივის წინაში მდგომი ამოცანების შესრულებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა.

უდავო ფაქტია, რომ სახალხო კონტროლიორთა საკავშირო თათბირის შემდეგ, მის მოთხოვნათა მიხედვით ბევრი რამ გაკეთდა, სერიოზული ორგანიზატორული მუშაობაა გაწეული. ახლა თბილისში ბევრი ჯგუფი მუშაობს კონკრეტულად, ეფექტიანად, წარმოებისა და ორგანიზაციის მდგომარეობის გათვალისწინებით. ამის საილუსტრაციოდ მოვიშველიებთ რამდენიმე მაგალითს.

ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფი (თავმჯდომარე ვ. გვალია) აქტიურად მუშაობს, ყველა საქმეში სამედოდ უდგას გვერდში ადმინისტრაციასა და პარტორგანიზაციას, კომპლექსურად სწავლობს თავის საკომპეტენციო საკითხებს, იღებს კონკრეტულ ზომებს, ბოლომდე იბრძვის ნაკლოვანებებისა და დარღვევების გამოსასწორებლად.

ზოგიერთი სახეობის პროდუქციის უხარისხობაზე ქარხანაში ბევრი საჩივარი და რეკლამაცია შემოდიოდა. წარმოება დიდი რაოდენობით იხდიდა ჯარიმას. ჯგუფი დეტალურად დაინტერესდა ამ საკითხით, ყურადღებით შეისწავლა ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვის მდგომარეობა, ხარისხის გაუმჯობესების რეზერვები, გამოიყენა ლაბორატორიული ანალიზების შედეგები, სპეციალისტების დახმარებით შეიმუშავა კვალიფიციური რეკომენდაციები. საკითხი ჯგუფის კრებაზე განიხილა პრინციპულად, გამოიყენა თავისი უფლებები, ზოგიერთი საკითხი დააყენა ადმინისტრაციისა და პარტიული კომიტეტის წინაშე. ჯგუფს ჯეროვნად დაუჭირეს მხარი, განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები. ამის შედეგად მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. შემცირდა წუნი, დაიზოგა 85 ტონა ლითონი, მიღებულია 30 ათას მანეთზე მეტი ეკონომია. ასევე აქ ჯგუფის ინიციატივით მოგვარდა ქარხნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით მიღებული დანადგარებისა და მოწყობილობის მოვლა-პატრონობის საქმე და სხვა.

საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის“ სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის (თავმჯდომარე ლ. ფირცხალაიშვილი) მუშაობაში მთავარი მიმართულებაა პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი საქმიანობა, რაც ხშირად იძლევა არა მარტო არსებულ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრის, არამედ მომავალი შეცდომების თავიდან აცილების საშუალებას.

ჯგუფი მოხერხებულად და საკმაოდ ფართოდ იყენებს საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და საჯაროობის ფორმებს: ადგილობრივ რადიოკვანძს, ელვა-ფურცელს, თემატურ სტენდებს, მათ შორის: „ვინ გვასახელა, ვინ გვარცხვენს“. ჯგუფი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წარმოების ყველა ეტაპზე ტექნოლოგიური დისციპლინის უმკაცრეს დაცვას. ამ მიზნით, გარდა ყოველდღიური მუშაობისა, ხშირად ეწყობა რეიდები, მათ შორის მოულოდნელი შემოწმებები. ამასთან დარღვევის პირველ შემთხვევაში, თუ იგი სერიოზული არ არის, „დამნაშავეს“ შედარებით რბილად ექცევიან, სჯერდებიან სიტყვიერ გაფრთხილებას, ამხანაგურ შენიშვნას, რჩევას. განმეორების შემთხვევაში ჯგუფი თავის კრებაზე პრინციპულად განიხილავს შემოწმების შედეგებს, ისმენს კონკრეტულად დამნაშავე პირების ახსნა-განმარტებას, საზოგადოებრივ გაკიცხვას უცხადებს ბრალეულ მუშაკებს და ა. შ.

აღნიშნული ჯგუფი სერიოზულ ყურადღებას აქცევს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას, მიწოდების გეგმის შესრულებას, რეჟიმ-ეკონომიის, სოციალისტური საკუთრების დაცვას.

ტრიკოტაჟის საცვლების საწარმოო გაერთიანების მეთაური ჯგუფი (თავმჯდომარე ი. თურქია) აქტიურად, ინიციატივით, ეფექტიანად მუშაობს. მისი საქმიანობა მოიწონეს სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა და საქალაქო კომიტეტებმა. ამ მეთაური ჯგუფის ინიციატივით, რომელსაც მხარი დაუჭირა სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა, დაინერგა ყოველთვიურად კონტროლიორთა ერთიანი დღის მოწყობის პრაქტიკა. იგი იმართება წინასწარ განსაზღვრული თემატიკის მიხედვით, რომელსაც წინ უძღვის დიდი მიზანსწრაფული მოსამზადებელი მუშაობა. ემზადებიან არა მარტო სახალხო კონტროლიორები, არამედ გაერთიანების ყველა განყოფილება, ყველა სამსახური. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი დღე მიეძღვნა შრომის დისციპლინისა და პროდუქციის ხარისხის საკითხებს. ამის ორგანიზაციის საქმეში აქტიურად მონაწილეობდა ყველა სახალხო კონტროლიორი, გაერთიანების ყველა სამსახური, განყოფილება, ჯგუფის აქტივი. შემოწმებას ნამდვილად მასობრივი ხასიათი ჰქონდა, მიზანსწრაფული კონტროლი ეწეოდა წარმოების მთელ პროცესს, მათ შორის სამუშაო ადგილის მომზადებას, მომარაგების საკითხებს, ნედლეულისა და მასალების რაციონალურ ხარჯვას, დაზგებისა და დანადგარების შეუფერხებელ მუშაობას და სხვა. ამიტომაც ამ დღის მუშაობის შედეგები წინა პერიოდის ყველაზე მაღალ დღიურ მაჩვენებელთან შედარებით უკეთესი აღმოჩნდა. მაგალითად, სასაქონლო პროდუქცია გამოშვებული იყო 0,4 პროცენტით მეტი, ხარისხიანიანი 5,8 პროცენტით მეტი, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 0,9 პროცენტით, მიღებულია ეკონომია ტრიკოტაჟის ქსოვილისა — 17,5 პროცენტით მეტი, ელექტროენერგიისა — 9,5 პროცენტით მეტი და ა. შ.

დღის ბოლოს კრიტიკულად შეჯამდა სახალხო კონტროლიორთა ერთიანი დღის შედეგები. დაისახა რეკომენდაციები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ღონისძიების მომზადებისა და განხორციელების მთელ მანძილზე პარტიული ორგანიზაცია და ადმინისტრაცია ქმედითად ეხმარებოდნენ სახალხო კონტროლის ჯგუფს. ამან განაპირობა სახალხო კონტროლიორთა აქტიურობა, „შეტევითობა“, შედეგიანობა.

მსგავს კონკრეტულ ფაქტებზე საუბარი შორს წაგვიყვანდა. ამიტომ მხოლოდ იმას ვიტყოდით, რომ თბილისში ბევრი ჯგუფია, რომლებიც მონდომებით და ნაყოფიერად მუშაობს. მათ შორის: საწარმოო გაერთიანებების „ჩარხმშენებლის“ (თავმჯდომარე ი. კოტლიარენკო) და „ელექტროაპარატის“ (თავმჯდომარე ა. სურგულაძე), ტყავგაერთიანების (თავმჯდომარე ვ. აქვსენტიევი) „თბილისძის“ (თავმჯდომარე გ. ჯოხთაბერიძე), საბჭოთა კავშირის 50 წლისთავის სახელობის ქარხნის (თავმჯდომარე ვ. კუხიანი), სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის (თავმჯდომარე ლ. პილაია), ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის (თავმჯდომარე კ. ნახაპეტიანი) და სხვები.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ჯგუფი და საგუშაგო ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს, ფორმალურად ეკიდება მოვალეობის შესრულებას, ისე იქცევა, თითქოს მათი ფუნქციები განსაზღვრული არ იყოს, მუშაობის სწორად წარმართვის საქმეში გაურკვევლობა სუფევდეს, საჭირო მეთოდიკური ლიტერატურა და მეთოდიკური მითითებანი არ არსებობდეს. ცხადია, ასეთი აზრი მეტისმეტად მცდარი და უსაფუძვლოა.

რა თქმა უნდა, სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ფუნქციები ზუსტად და დამაჯერებლად არის განსაზღვრული კანონით სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ. ამის გარდა, არსებობს საკმაოდ დიდი მოცულობის „სახალხო კონტროლის ცნობარი“, რომელიც უკვე მეოთხედ გამოიცა. მასში დეტალურადაა განხილული ყველა სფეროში სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობის ძირითადი მიმართულება, შინაარსი, ფორმები და მეთოდები. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ სახალხო კონტროლის საკავშირო კომიტეტი ყოველთვიურად, ხოლო რესპუბლიკური კომიტეტი ყოველკვარტალურად გამოსცემენ სპეციალურ ბიულეტენებს კომიტეტებისა და ჯგუფების დასახმარებლად, ასევე დიდი რაოდენობით უშვებენ საკონტროლო მუშაობის სხვადასხვა საკითხზე მეთოდიკურ ლიტერატურას და რეკომენდაციებს. ამას გარდა, ყველა გაზეთი ყოველთვიურად ბეჭდავს სახალხო კონტროლის გვერდს, კომიტეტებსა და ბევრ მეთაურ ჯგუფში შექმნილია სპეციალური კაბინეტები და მეთოდიკური კუთხეები. საკმარისია ითქვას, რომ მარტო თბილისის საქალაქო კომიტეტის მეთოდიკურ კაბინეტში თავმოყრილია 5 ათას ცალზე მეტი მეთოდიკური ხასიათის ლიტერატურა, დამხმარე მასალა და რეკომენდაცია. უფრო მეტიც, სახალხო კონტროლიორებისა და ჯგუფის თავმჯდომარეებისათვის არსებობს სწავლების მწყობრი სისტემა: სკოლები, სემინარები, ლექტორიუმები, უნივერსიტეტი.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ჯგუფი და კონტროლიორი ვერ იყენებს მდიდარ შესაძლებლობებს, პასიურობს, სრულყოფილად არ ასრულებს თავის მოვალეობას. ვფიქრობთ, ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა მკვეთრად გაძლიერდეს ჯგუფებისა და საგუშაგოებისადმი მუდმივი და უწყვეტი პარტიული ხელმძღვანელობა, მომთხოვნელობა. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, მათს მდივნებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობა მათი მუშაობის სარკეა. მაგრამ ეს ყოველთვის როდი კეთდება ისე, როგორც ამას საქმე მოითხოვს.

ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ სახალხო კონტროლის ჯგუფებს უნდა ეხმარებოდნენ, მხარს უჭერდნენ და ახალისებდნენ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები. ცხადია, ასეთ პირობებში სახალხო კონტროლიორები მთელი მონდომებით იმუშავებენ, უფრო გაბედულად შეებრძოლებიან ყოველგვარ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს, უპასუხისმგებლობასა და უყაირათობას.

ვ. ჯანჯღავა,
თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

სრული ქაოსი

იმ დღეს, როცა თიანეთის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს გარაჟში სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტისა და შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები მივიდნენ, ადგილზე არ აღმოჩნდა 9 ავტომანქანა, აქედან 4-ის ასავალდასავალი არავინ იცოდა, დანარჩენი ხუთი კი კერძო პირების ეზოებში იყო გაჩერებული.

ამ ერთი დღის ფაქტიც აშკარად მოწმობს, რომ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭო და მისი თავმჯდომარე რ. გოგოლაძე თითქმის არავითარ ღონისძიებებს არ ახორციელებენ პარტიისა და მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომელთა მიზანია სატვირთო ავტოტრანსპორტის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფა.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ავტომანქანების მუშაობის აღრიცხვაში უხეში დარღვევები, მთლიანად მოშლილია სადისპეტჩერო სამსახური, ამ სამსახურზე ბრძანებით არ ყავდათ გაფორმებული პასუხისმგებელი პირი, შტატითაც არ არის ასეთი მუშაკი გათვალისწინებული, სრული ქაოსია და მთლიანადაა მოშლილი კონტროლი საგზურების გამოწერაზე. არ ივსება საგზურებში მოცემული ყველა რეკვიზიტი, ყოველთვის არ წერენ გარაჟიდან მანქანების გასვლისა და დაბრუნების დროს, მძღოლისათვის მიცემულ დავალებას, სპიდომეტრის ჩვენებას, ტვირთზიდვის ზუსტ დასახელებას, არ მიუთითებენ ობიექტს, სადაც ესა თუ ის სამუშაო შესრულდა.

დიდია მოცდენების რიცხვი, 7 ავტომანქანას შემოწმების დღისათვის არ ყავდა მძღოლი. ერთი ავტომანქანა „ვაზ-608“ (07-71 გგო) 1984 წლის 26 სექტემბრიდან არ მუშაობდა მძღოლის მიერ სამუშაოს თვითნებურად მიტოვების გამო.

ძალზე დაბალია ავტოტრანსპორტის გამოყენების კოეფიციენტი. მარტო ერთ თვეში (1984 წლის დეკემბერი) მოქმედი 8 ავტომანქანიდან სხვადასხვა სამუშაო მხოლოდ სამმა შეასრულა.

ორგანიზაციას არა აქვს ტვირთზიდვის წლიური გეგმა, თვითდინებაზეა მიშვებული შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვა. არა აქვთ სარაიონთაშორისო და შიდა სარაიონო სატრანსპორტო რუკები, რომლებშიც განსაზღვრული იქნება კარიერებსა თუ ობიექტებს შორის მანძილი. ეს კი მძღოლებს საშუალებას აძლევს ხელფასის უკანონოდ გაზრდის მიზნით თვითნებურად გაზარდონ ტონა-კილომეტრები, რასაც მასობრივი ხასიათი აქვს.

აი, ზოგიერთი მაგალითი: შარშან, 12 სექტემბერს მძღოლმა გ. ჯამარაულმა საღრიცხვო დოკუმენტების მიხედვით ქ. გურჯაანიდან შემოიტანა 2 500 ცალი აგური, საგზურის ფურცელში კი მან თვითნებურად ჩაიწერა, რომ თითქოს იმავე დღეს 15 კილომეტრით დაცილებული კარიერიდან ობიექტზე მიიტანა 100 ტონა ხრეში. ასევე განმეორდა 14 სექტემბერსაც.

27 სექტემბერს მძღოლმა ხორნაულმა საწყობის გამგე პინჯარაულთან ერთად წითელწყაროდან შემოიტანა მინის ბლოკი, რუბეროიდი და სპეცტანსაცმელი. საგზურში ჩაიწერა თითქოს იმავე დღეს კარიერიდან ობიექტზე გადაზიდა ხრეშიც (10 გზა, 60 ტონა).

ანალოგიური ფაქტები სხვაც ბევრია. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ასეთ სიყალბეს ხელს უწყობენ სამუშაოთა მწარმოებლები და საწყობის გამგე, რომლებიც ხელმოწერით ადასტურებენ ამ ვითომდა მძღოლების მიერ შესრულებულ სამუშაოს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სრულ უმოქმედობას იჩენს ამ ორგანიზაციის სახალხო კონტროლის ჯგუფი.

თიანეთის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს თავმჯდომარეს რ. გოგოლაძეს გამოუცხადა საყვედური და მოსთხოვა ამ საქმეში უშუალო დამნაშავე პირთა მიმართ მკაცრი ზომების მიღება.

პ. ივანაური,
თიანეთის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის ინსპექტორი.

მომჭირნეობის სადარაჯოზე

თითქმის 280 გამოცდილი სპეციალისტია ჩაბმული თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებში. საზოგადოებრივი კონტროლიორების ზრუნვის მეოხებით დაზოგილია დიდძალი ნედლეული და ელექტროენერგია.

სურათზე: სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები: მჩითავი ელენე მელაძე, საჩითავი საამქროს ოსტატის თანაშემწე სპარტაკ აროშიძე, ხარისხის ინჟინერი ნაირა სიხარულიძე, საპრეტურო საამქროს ოსტატის თანაშემწე გიორგი ბიბილეიშვილი და სამღებრო-საჩითავი წარმოების სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ხუცურაული მორიგი რეიდის დროს ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

ი. ულამოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რეიდმა გამოავლინა

გეგმას წაუმატეს...

ლენტეხის რაიონში ბევრია ახლა მეცხოველეობის ფერმა, რომელსაც დიდი შემოსავალი აქვს სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვით. მაგრამ ასე როდია ლენტეხის, ხელედის და ჟახუნდარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ფერმებში. აქ ბოლო ხანს შესუსტდა შრომის დისციპლინა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მათს ეკონომიკაზე, კერძოდ რძის წარმოებაზე. ამიტომ იყო, რომ სახალხო კონტროლიორებმა შემოწმების დროს ბევრი ნაკლი და ხარვეზი გამოავლინეს როგორც რძის წარმოებაში, ისე მიღებული პროდუქციის აღრიცხვის საქმეში.

ლენტეხის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებმა ძალიან ცუდად გამოაზამთრეს პროდუქტიული პირუტყვი, შეამცირეს წველადობა, მაგალითად, შემოწმების დროს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რძის წარმოების დონე შემცირდა 69 პროცენტით. კონტროლიორები დარწმუნდნენ, რომ მეურნეობის დირექცია და ვეტსამსახური საკმაოდ არ ზრუნავენ შრომის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად. იმისათვის, რომ მიეჩქმალათ თავიანთი ცუდი მუშაობა, დაადგნენ თვალის ახვევის გზას.

ბაბილის მეცხოველეობის ფერმაში წელს 19 თებერვალს საკონტროლო წველა მოეწყო, გამოირკვა, რომ აქ მეწველი პირუტყვი ვერ იღებს ნორმით გათვალისწინებულ საკვებს. იმ დღეს პირუტყვს ნორმით გათვალისწინებული 8 კილოგრამი საკვები ერთეულის ნაცვლად მისი ნახევარიც არ მისცეს. ამან დიდი გავლენა მოახდინა თითოეული ფურის ნაწველზე — მხოლოდ 22,5 კილოგრამი რძე მიიღეს. წველადობის გეგმის შესრულების მიზნით ფერმის მესვეურებმა ფანდი იხმარეს — საკონტროლო წველის დღის ნაწველი (22,5 კილოგრამი) გადაასწორეს და უჩვენეს 143,5 კილოგრამი. ყალბისმქნელებმა საკონტროლო წველის წინა დღის მონაცემებიც გაადიდეს. ასეთი აშკარა ტყუილით ლენტეხის საბჭოთა მეურნეობამ თებერვალში გეგმას 2.700 კილოგრამი რძე ყალბად წაამატა.

სრულიად არასაკმარისია აგრეთვე ჟახუნდარის საბჭოთა მეურნეობაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის გაწეული მუშაობა.

ანალოგიური ნაკლოვანებებია ხელედის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმებშიც.

ახლა ლენტეხის რაიონის საბჭოთა მეურნეობების ფერმებში შექმნილ მდგომარეობას რაიონის ადმინისტრაციული ორგანოები ამოწმებენ.

ვ. ცირეკიძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ხშირად არის შემთხვევა, როცა ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მობინადრე ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ელექტროენერგია დახარჯოს, ხოლო გადასახადი თანხა ნაკლები შეიტანოს სახელმწიფო სალაროში. ამ ხათაკილო საქმეს ისინი ელექტრომრიცხველების მოშლით ან მუშაობის შეფერხებით აღწევენ. რა თქმა უნდა, ხშირად ასეთ მობინადრეებს ამხელენ ხოლმე შემმოწმებლები, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის არ ხერხდება ასეთ დამრღვევთა გამოვლენა. სწორედ ამიტომაც არის, რომ სახელმწიფო დიდძალი რაოდენობით ელექტროენერგიასა და სახსრებს კარგავს.

სახალხო კონტროლიორთა სიგნალიდან.



ამ ფაქტს ამხელს გ. ლომიძე თავის კარიკატურაში, რომელსაც მხატვარმა „ელექტროთაღლითობა“ უწოდა.

ფელეტონისტები ბჭობენ

21 მაისს თბილისის ჟურნალისტის სახლში დაიწყო ფელეტონისტთა საკავშირო სკოლის სამდღიანი გამსვლელი მეცადინეობა

ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის წარმომადგენელი ორმოცდაათი ფელეტონისტი და ამ ჟანრის ოცი ქართველი ოსტატი შეიკრიბა პირველად, რათა ერთმანეთს გაუზიარონ შეძენილი მუშაობის გამოცდილება, ოსტატობის საიდუმლოებანი, ისაუბრონ ეთიკური და ზნეობრივი ნორმების, იმ ადამიანთა უფლებამოსილების შესახებ, რომლებიც მოწოდებული არიან მწვავე სატირის სიტყვით ამხილონ ბოროტება, რომელიც აბრკოლებს განვითარებული სოციალიზმის ქვეყნის წინსვლა-განვითარებას.

ფელეტონისტთა სკოლის მეცადინეობა გახსნა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა და საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ბედინეიშვილმა, რომელიც გულთბილად მიესალმა მეცადინეობის მონაწილეებს, გამოთქვა ღრმა კმაყოფილება იმის გამო, რომ სკოლის ესოდენ დიდი მასშტაბის პირველი გამსვლელი ღონისძიება საქართველოში ეწყობა. თვით ის ფაქტი, რომ თბილისში ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ცნობილი ფელეტონისტი ოსტატები, მოწმობს ქართული ჟურნალისტიკის სკოლის ავტორიტეტს.

მოხსენება „საბჭოთა სატირის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“ გააკეთა გაზეთ „პრავდის“ რედაქტორმა ფელეტონის დარგში ი. შატუნოვსკიმ.

— ხანა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, — თქვა მან, — ძალზე მნიშვნელოვანი და ღირსსახსოვარია. ქვეყანა ემზადება სკკპ XXVII ყრილობას, რომელმაც უნდა განსაზღვროს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ახალი მიჯნები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა ჩვენი სახელმწიფოს, საბჭოთა მშრომელების წინაშე თვისებრივად ახალი მოთხოვნები დააყენა. მათს გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის წინსვლა და განვითარება.

პასუხსაგები ამოცანებია დასახული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, პრესის მუშაკების წინაშე მასების აღზრდის, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში.

შეეხო რა სატირიკოს ჟურნალისტთა ამოცანებს, ი. შატუნოვსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში ფელეტონმა, როგორც ჟანრმა, სახეცვლილება განიცადა, მიაღწია ისეთ მწვერვალებს, რომლებზეც ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ ძნელიც იყო გვეოცნება. დღეს უკვე აღარ არის საკმარისი გაამასხარაო ესა თუ ის ბოროტება, უნდა გაამჟღავნო მისი ფესვები, მისცე სოციალური შეფასება, დასახო ამ ბოროტების აღმოფხვრის გზები. ბუნებრივია, თქვა მან შემდეგ, ეს სრულიად ახალ ამოცანებს უყენებს „გაზეთში მომუშავე მწერლებს“, როგორც ზუსტად უწოდა ფელეტონისტებს საბჭოთა სატირის პიონერმა მ. კოლცოვმა, და ამ ამოცანების გადაწყვეტა შეუძლიათ მაღალკვალიფიციურ, ჭეშმარიტ ოსტატებს, რომლებსაც თავიანთი ქვეყნისა და თავიანთი ხალხის ინტერესები ასულდგმულებთ.

მეცადინეობის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ჟურნალ „კროკოდილის“ სპეციალური კორესპონდენტის ვ. მიტინის, გაზეთ „იზვესტიის“ ფელეტონის დარგის რედაქტორის ვ. ნადეინის, ჟურნალ „კროკოდილის“ განყოფილების რედაქტორის მოადგილის ვ. გრეჩანინოვის, გაზეთ „კომუნისტის“ განყოფილების გამგის რ. დვალიშვილის გამოსვლები.

ფელეტონისტთა საკავშირო სკოლის გამსვლელი მეცადინეობის მონაწილეებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ცხიმკომბინატში.

გამსვლელი მეცადინეობის მუშაობა 23 მაისამდე გასტანს. მის მონაწილეებს მოელით სექციური მეცადინეობა, შეხვედრები ქალაქის მშრომელებთან, ქართველ კოლეგებთან.

— ჩვენი პირველი გამსვლელი მეცადინეობა, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პასუხისმგებელმა მუშაკმა გ. ხოლინამ, — ახალი ტრადიციით ამდიდრებს ფელეტონისტის საკავშირო სკოლას, რომელსაც აი უკვე შვიდი წელია უძღვებიან სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირი და ჟურნალ „კროკოდილის“ რედაქცია. წელიწადში ორჯერ მოსკოვში მეცადინეობაზე ჩამოდიან ფელეტონისტები, რათა ეზიარონ ჟანრის ახალ მიღწევებს, გაიფართოონ ცოდნა. ამ წლებში ბევრი მსმენელი იქნა მიწვეული პერიფერიული გაზეთებიდან ცენტრალურში. თბილისის მეცადინეობა კიდევ ერთ საინტერესო მხარედ შეემატება ამ სკოლის მუშაობას, რომელიც მოწოდებულია სრულყოს ქვეყნის ფელეტონისტთა ოსტატობა. (საქინფორმი).

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის მიენიჭათ საპატიო წოდებანი:

„საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი“: **გაბაშვილს** დავით ალექსანდრეს ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კათედრის გამგეს, **გაბიტაშვილს** დავით დიმიტრის ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორს, **დუგლაძეს** ვახტანგ ვალერიანის ძეს — მხატვარ-ფერმწერს, **ერისთავს** დიმიტრი ვახტანგის ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორს მოვალეობის შემსრულებელს, **თოთიბაძეს** გიორგი კონსტანტინეს ძეს — სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის თბილისის გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელს, **იაშვილს** რევაზ იოსების ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორს, **კალანდაძეს** ედმონდ ლავროსის ძეს — მხატვარ-ფერმწერს, **მიქატაძეს** დიმიტრი შოთას ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორს, **ხუნდაძეს** ჯიბსონ ხარიტონის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხატვის მასწავლებელს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“: **სპარსიაშვილს** ავთანდილ გიორგის ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს, **ცუხიშვილს** რომუალდ აპოლონის ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“: **ამირხანოვას** მარლენა შამირის ასულს — მხატვარ-ფერმწერს, **ბაკურიძეს** ავთანდილ ახმედის ძეს — მხატვარ-ფერმწერს, **ბაიახჩევს** ლევ სერგოს ძეს — მხატვარ-ფერმწერს, **დოლენჯაშვილს** გურამ ნიკოლოზის ძეს — მხატვარ-გრაფიკოსს, ქ. ქუთაისი, **ვანეევს** ალექსანდრე დიმიტრის ძეს — გამომცემლობა „ირისთონის“ მხატვრულ რედაქტორს, **კაჭკაჭიშვილს** ომარ ვლადიმერის ძეს — მხატვარ-ფერმწერს, **მაღრაძეს** ვახტანგ რომანის ძეს — მხატვარ-მოქანდაკეს, **მირზაშვილს** ჯემალ გიორგის ძეს — მხატვარ-ფერმწერს, **ნიაურს** სერგო ვასილის ძეს — მხატვარ-ფერმწერს, **ჟორდანიას** არჩილ ყაისარის ძეს — მხატვარ-ფერმწერს, **ხეხნიაშვილს** ოთარ ივანეს ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის დოცენტს, **სიხარულიძეს** იმპერეგ იოსების ძეს — მხატვარ-ფერმწერს, **ტურმანოვს** დიმიტრი გიორგის ძეს — ცხინვალის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგს, **ჩოგოვაძეს** არჩილ ივანეს ძეს — ქუთაისის სამხატვრო საწარმოო სახელოსნოს დირექტორს, **ცალქალამანიძეს** მიხეილ მიხეილის ძეს — ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის კაბინეტის გამგეს, **ცვიჟბას** ბესარიონ აკუნის ძეს — მხატვარ ფერმწერს, **წერეთელს** გიორგი გალაქტიონის ძეს — საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მთავარ მხატვარს, **ჭკადუას** იური ვლადიმერის ძეს — მხატვარ-მოქანდაკეს, **ხუციშვილს** თამაზ გრიგოლის ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს, **ჯაფარიძეს** გიორგი ზურაბის ძეს — მხატვარ-მოქანდაკეს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“: **ვაჩეიშვილს** გივი აკაკის ძეს — საქართველოს მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილების სამხატვრო-საწარმოო სახელოსნოების დირექტორს, **კვიტაიშვილს** მარიამ კარაპეტის ასულს — საქართველოს მხატვართა კავშირის მთავარ ბუღალტერს, **ხოფერიას** იზოლდა ლუმანგის ასულს — საქართველოს მხატვართა კავშირის კონსულტანტს.

მეგობრობის სითბო

ხელვაჩაური. (საქ. კორ.). გონიოს საბჭოთა მეურნეობისა და ლატვიის სსრ მეცხოველეობის სამეცნიერო-საცდელი მეურნეობის „კრიმულდის“ კოლექტივების მეგობრობას ამ სამიოდე წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. მაშინ გონიოელთა თვითმოქმედმა კოლექტივმა, რომელიც საგასტროლოდ იყო ბალტიისპირეთში, ცეკვებითა და ტკბილი მელოდიებით მოხიბლა მასპინძლები. ამას მოჰყვა დამეგობრება.

ახლახან კრიმულდელები კვლავ ეწვივნენ გონიოს. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მეურნეობის დირექტორი იანის ლუცანისი, მოწინავე მწველავი ლაიმა ზაქსი, ბრიგადირი ი. ფრეიბერგსი, მექანიზატორი ა. ზარინში, საბავშვო ბაღის გამგე მ. პუკიტე და სხვები.

ერთობლივად ვებრძოლოთ დიდ ბოროტებას

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კმაყოფილების გრძნობით და დიდი მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ. რედაქციაში გამოგზავნილ წერილებში მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები უაღრესად დროულ ღონისძიებად მიიჩნევენ ამ ბოროტი გადმონაშთის წინააღმდეგ ბრძოლის მკვეთრ გაძლიერებას და გამოთქვამენ მზადყოფნას ყოველნაირად ხელი შეუწყონ დადგენილების განუხრელ შესრულებას, წესიერებისა და წესრიგის დამყარებას ყველა სამუშაო უბანზე და რგოლში.

საერთო ძალისხმევით

განუზომელია მნიშვნელობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილებისა „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“. იგი ყველას გვავალებს — სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ ჩვენი საზოგადოებისათვის ესოდენ საშიშ სენს, ესოდენ მავნე ჩვეულებას — ლოთობას, სპირტიანი სასმელების რეგულარულად ხმარებას.

აბა, წარმოიდგინეთ, რა ეკონომიკურ ეფექტზე უნდა ვილაპარაკოთ, თუ ყოველ ცისმარე დღეს ბევრი მუშა თუ მოსამსახურე მხოლოდ იმას იფიქრებს, სად გამოთვრეს და კიდევ ერთი დღე ასე გაიტანოს. ასეთი ხალხი ჩირქს სცხებს საზოგადოებას, რომელიც კეთილსინდისიერი შრომით ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს საბჭოთა ქვეყნის აღმშენებლობაში.

ასეთ დროს ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა კეთილ ზემოქმედებას მოახდენენ მოსახლეობაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები. ამ მიმართულებით, ჯერჯერობით, ეფექტი ძალზე მცირეა. როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, „...ზოგიერთი ლიტერატურული ნაწარმოები, კინო და ტელევიზია ამკვიდრებენ სპირტიანი სასმელების „კულტურული“ ზომიერი მოხმარების იდეებს, მიმზიდველად წარმოსახავენ სხვადასხვაგვარ ღრეობასა და სმის რიტუალებს“.

როგორც ხედავთ, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს გვმართებს მკვეთრად გავაუმჯობესოთ ანტიალკოჰოლური პროპაგანდა და როგორც დადგენილება მიგვითითებს, მკაფიოდ და დამაჯერებლად წარმოვაჩინოთ ადამიანის ჯანმრთელობისათვის მცირე დოზის ალკოჰოლის მავნეობაც კი...

რწმენას გამოვთქვამ, რომ სხვებთან ერთად ქართული მწერლობაც იქ დადგება, სადაც საერთო-სახალხო საქმე ითხოვს, სადაც მართალ, დამაჯერებელ, მწერლურ სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

შოთა ნიშნიანიძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ფესვს არ გავადგმევინებთ

არ შემიძლია ვთქვა, რომ ლოთობა ჩვენს სოფელში დიდად იყოს გავრცელებული, მაგრამ ბოლო ხანს რაღაცნაირად ფეხს რომ იკიდებს, ამას კარგად ვგრძნობთ. მაიაკოვსკის რაიონის სოფლის მეურნეობაში მევენახეობა წამყვანი დარგია. ამიტომ ჩვენში უცხო არ არის ჭაჭისაგან არყის გამოხდა. დასაგმობი ის არის, რომ ზოგიერთებმა ასეთი საქმიანობა ხელობად გაიხადეს და შემოსავლის წყაროდ აქციეს.

როცა სასმელი ძნელი საშოვნელი არ არის, ხშირია ხალხმრავალი ქეიფები და ღრეობები, რაც იწვევს მუშახელის მოცდენას, უხარისხო მუშაობას. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს საწარმოო გეგმების შესრულებაზე, შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე, წესრიგის დაცვაზე.

ასეთი მდგომარეობა ჩვენ ყველას და უწინარესად დეპუტატებს გვავალებს შეურიგებელი ბრძოლა გამოვუცხადოთ ალკოჰოლიზმს, ადამიანებს შევუქმნათ ჯანსაღი ყოფა, მყარი ოჯახური გარემო, განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, რათა კოლმეურნეთა ცხოვრება და მუშაობა იყოს სრულფასოვანი როგორც ოჯახში, ასევე მეურნეობაში.

თითოეული დეპუტატის პირდაპირი მოვალეობა ოჯახურ ყოფაში წესრიგის დამყარება. ამას უშუალო კავშირი აქვს ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლასთან. ჩვენი დეპუტატები მთელი მონდომებით ყველაფერს იღონებენ დადგენილების შესასრულებლად.

ვ. ბაჯაძე,
მაიაკოვსკის რაიონის მეორე ობჩის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ლოთობა შემდურებაა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის შესახებ“, ნამდვილად აუცილებელი და დროულია. ჩვენი გაერთიანების კოლექტივი მთლიანად იწონებს და უჭერს მხარს დადგენილებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების უთუო განხორციელებას.

ალკოჰოლიზმი და ლოთობა უბედურება, აუნაზღაურებელი ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის. ამას და, საერთოდ, დისციპლინის განმტკიცების საკითხს ჩვენს გაერთიანებაში ეძლევა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. და ეს იმიტომ კი არა, თითქოს აქ ამ მხრივ განსაკუთრებული საგანგაშო მდგომარეობა იყოს. არა, მაგრამ ჩვენთანაც მოიძებნებიან ბახუსის მოყვარულნი და მკაცრად ვაფრთხილებთ მათ. არ შეიძლება ლოთისა და მით უმეტეს ალკოჰოლიკის გაკეთებული საქმე სრულყოფილი იყოს, ასეთი ადამიანები არაფე აგდებენ არც საწარმოსა და არც საერთოდ საზოგადოების ღირსებას.

ელმავალმშენებელთა აბსოლუტური უმრავლესობა შრომისმოყვარეა, საქმისათვის თავდადებული. ამაზე გაწვლილი ოთხი თვის სამეურნეო შედეგებიც კარგად მეტყველებს. დიახ, ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ მართალია ისიც, რომ გვინდა მეტი გავაკეთოთ და მიზნის მიღწევაში არ გვინდა ვინმემ შეგვიშალოს ხელი. ნამდვილ ომს გამოვუცხადებთ ლოთებს, მათს ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს.

ა. გორგაძე,
„ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების ამწყობი საამქროს ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

21 მაისი ■ საკდესი იუწყება

ქვეყნად მშვიდობის საკეთილდღეოდ

საბჭოთა კავშირი, რომელიც ისწრაფვის კიდევ უფრო განავითაროს ინდოეთთან თანამშრომლობა, აცხადებს, რომ პრინციპულად და განუხრელად უჭერს მხარს ხალხთა ბრძოლას იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური განახლებისათვის, კვლავ და კვლავ ადასტურებს, რომ ყველაფერს იღონებს ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, რომ მისი საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავს გამორიცხოს ბირთვული ომი კაცობრიობის ცხოვრებიდან. ასე აფასებენ სსრ კავშირის პოზიციას საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, რომლებიც ფართოდ განმარტავენ ინტერვიუს, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა მისცა ინდოეთის „პრეს ტრასტ ოფ ინდიას“ სააგენტოს.

ინტერვიუს დიდ ყურადღებას უთმობენ ინდოეთის პრესა, რადიო და ტელევიზია. გაზეთი „ნეშნლ ჰერალდი“, რომელიც ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) მმართველი პარტიის თვალსაზრისს გამოხატავს, და ამ პარტიასთან დაახლოებული გაზე[illegible]

[illegible] ვევას, სწადია აქტიურად იმუშაოს სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ერთად, რათა ინდოეთის ოკეანე გახდეს სწორედ მის ნაპირებზე მდებარე, და არა რომელიმე სხვა სახელმწიფოების საარსებო ინტერესების სფერო, გადაიქცეს მშვიდობის, და არა დაძაბულობისა და კონფლიქტების ზონად. სსრ კავშირმა დაგმო შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნის მუდმივი ზრდა ინდოეთის ოკეანეში.

საბჭოთა კავშირი, წერს სირიის „ალ-ბაასი“, ცხადყოფს, რომ პრინციპულად უჭერს მხარს ხალხთა ბრძოლას იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური განახლებისათვის. გაზეთი აღნიშნავს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის თანადგომას იმ იდეის განსახორციელებლად, რომ მოიწვიონ საერთაშორისო კონფერენცია ინდოეთის ოკეანის მშვიდობის ზონად გადაქცევის მიზნით. მოსკოვი ადასტურებს, რომ ასეთი კონფერენციის მოწყობას უკვე რამდენიმე წელია ფუშავს ამერიკის შეერთებული შტატები, აღნიშნავს გაზეთი.

იაპონიის „მაინიჩი“ აღნიშნავს სსრ კავშირის წინადადებას — შემოღებულ იქნეს 1985 წლის 6 აგვისტოდან, ანუ ხიროსიმის ატომური დაბომბვის 40 წლისთავზე, ანდა უფრო ადრეც, მორატორიუმი ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებაზე, რათა იგი მოქმედებდეს ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულების დადებამდე. გაზეთი კომენტარში აღნიშნავს, რომ ინდოეთი მიუმხრობლობის სტრატეგიის ფარგლებში ცხადყოფს თავის სიახლოვეს საბჭოთა კავშირთან, რომელთანაც ერთად იზიარებს საერთო თვალსაზრისს ბევრ საკითხში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, წერს „ვაშინგტონ პოსტი“, კვლავ წამოაყენა წინადადება, რომ დაუწესდეს მორატორიუმი ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებას, 6 აგვისტოდან, ანუ ხიროსიმის ატომური დაბომბვის 40 წლისთავის დღიდან მოყოლებული. მოსკოვი აცხადებს, რომ ამ მორატორიუმმა უნდა იმოქმედოს ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულების დადებამდე.

ინგლ[illegible] წერს: მ[illegible] დასდო [illegible] ტებს, [illegible] ზრდის [illegible] ინდოეთ[illegible] ლმხრივ[illegible] თა კავშ[illegible] ბა მსოფლიოს ამ რაიონში სამხედრო საქმიანობის შეზღუდვის შესახებ.

საბჭოთა კავშირი, იუწყება ავსტრიის საინფორმაციო სააგენტო, იმედოვნებს, რომ ვაშინგტონი და მისი ნატოელი პარტნიორები უფრო სერიოზულად მოეკიდებიან სსრ კავშირის მიერ დაწესებულ მორატორიუმს თავისი საშუალო სიშორის რაკეტების განლაგებაზე და ევროპაში სხვა საპასუხო ღონისძიებათა განხორციელების შეჩერებას. იგი მოუწოდებს დაუყოვნებლივ განაახლონ მოლაპარაკება ბირთვული იარაღის გამოცდის სრული აკრძალვის შესახებ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მიზეზით შეწყდა.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების გაზეთები თვალსაჩინო ადგილებზე აქვეყნებენ ინტერვიუს სათაურებით: „საერთო მიზანია გამოირიცხოს ბირთვული იარაღი კაცობრიობის ცხოვრებიდან“, „მწვავე პრობლემათა რეალისტური გადაჭრისათვის“, „საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა მშვიდობისა და სტაბილურობის ფაქტორია“, „საბჭოთა კავშირი ინდოეთის ოკეანის მშვიდობის ზონად გადაქცევისათვის ილვწის“.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა მარტოოდენ ორი ქვეყნის ხალხთა კუთვნილება როდია, წერს ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო“. იგი გვევლინება მშვიდობისა და სტაბილურობის დიდმნიშვნელოვან ფაქტორად ახლანდელ დაძაბულ ვითარებაში, ნათლად მოწმობს, რაოდენ ნაყოფიერი თანამშრომლობა შეუძლიათ სხვადასხვა წყობის ქვეყნებს, თუ მშვიდობის იდეებით, ერთმანეთის პატივისცემისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის პრინციპებით ხელმძღვანელობენ. რამდენადაც საბჭოთა კავშირი მშვიდობიანი განვითარების დიდ, შორს მიმავალ მიზნებს ისახავს, ბუნებრივია, მას მშვიდობის შენარჩუნება სჭირდება და ყველაფერს იღონებს ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკი[illegible]

[illegible] ლი ქვეყნების ინტერესებს.

საბჭოთა კავშირმა დაამტკიცა, რომ ერთგულია მორატორიუმისა, რომელიც ცალმხრივი წესით დააწესა თავისი საშუალო სიშორის რაკეტების განლაგებას, და პირობისამებრ შეაჩერა სხვა საპასუხო ღონისძიებათა განხორციელება ევროპაში, წერს „ნოიეს დოიჩლანდი“ (გდრ). მას სრული საფუძველი აქვს იმედოვნებდეს, რომ ვაშინგტონი და მისი ნატოელი პარტნიორები უფრო სერიოზულად დაუფასებენ ინიციატივას, გამოიჩენენ თავშეკავებას დასავლეთ ევროპაში ამერიკული რაკეტების განლაგების საკითხში. და თუ მხარეები ამ საკითხში შეთანხმდებიან, მაშინ ჟენევის მოლაპარაკება შეიძლება გადაყვანილ იქნეს პრაქტიკულ რელსებზე. საბჭოთა კავშირი აცხადებს, რომ მოლაპარაკების მიზანია არა გამალებული შეიარაღების დაწყება კოსმოსში, არამედ მისი შეწყვეტა დედამიწაზე, ბირთვული შეიარაღების რადიკალური შემცირების დაწყება და საბოლოოდ — მისი სრული ლიკვიდაცია.

საბჭოთა კავშირმა, აღნიშნავს უნგრული „ნეპსაბადშაგი“, მხარი დაუჭირა ექვსი ქვეყნის სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა ინიციატივებს, რომლებიც 1984 და 1985 წლების დეკლარაციებშია ფიქსირებული, და მოუწოდა დასაწყისისათვის შეწყვიტონ ბირთვული იარაღის შემუშავება, წარმოება და განლაგება, გაყინონ ბირთვული არსენალები და შეუდგნენ მათს შემცირებას, თავიდან აიცილონ გამალებული შეიარაღების გავრცელება კოსმოსზე და დადონ ხელშეკრულება, რომელიც მთლიანად აკრძალავს ბირთვულ გამოცდას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობა უდიდეს მუშაობას ეწევა, რათა უზრუნველყოს საბჭოეთის დაჩქარებული მშვიდობიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. სსრ კავშირს მშვიდობა სჭირდება და მის სამშვიდობო პოლიტიკას მხარს უჭერენ პლანეტის ხალხები.

ა შ შ

ოფიციალურ ვიზიტად

ვაშინგტონი. ამერიკის დედაქალაქში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ჰონდურასის პრეზიდენტი რობერტო სუასო კორდოვა. იგი ვაშინგტონში სამ დღეს დაჰყოფს და მოლაპარაკებას გამართავს პრეზიდენტ რეიგანთან და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან.

როგორც ჟურნალისტებს სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა განუცხადა, ადმინისტრაციის ჰონდურასი თავის „მნიშვნელოვან მოკავშირედ“ მიიჩნია ცენტრალურ ამერიკაში. ამჟამად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს ქვეყანა ცენტრალური ამერიკის ნეზიმიერო ქვეყნის, უწინარეს ყოვლისა, ჰონდურასის მეზობელი სახელმწიფოს — ნიკარაგუის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედების პლაცდარმად აქცია.

საჭიროა ეფექტიანი ღონისძიებები

ნიუ-იორკი. ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საგაზაფხულო სესიაზე განიხილავენ მოხსენებას, რომელშიც ხაზგასმულია ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელების მწვავე საჭიროება, რათა ბოლო მოეღოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ რეჟიმთან ტრანსნაციონალური კორპორაციების თანამშრომლობას. დოკუმენტი შეიცავს რეკომენდაციებს მოეწყოს საჯარო მოსმენები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის შენარჩუნებისა და ნამიბიის გაჭიანურებული ოკუპაციის საქმეში ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის შესახებ.

მოსმენების მთავარი მიზანია, აღინიშნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სესიაზე, განხორციელდეს კონკრეტული და შეთანხმებული ღონისძიებანი ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, რომლებიც შეწყვეტენ აფრიკის სამხრეთში იმპერიალისტური მონოპოლიების საქმიანობას. მოსმენების დროს უნდა განისაზღვროს ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ სამხრეთ აფრიკისა და ნამიბიის ადამიანთა და ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციის მასშტაბი, იმ ქვეყნებისა და უწინარეს ყოვლისა ამერიკის პასუხისმგებლობა აპარტეიდის სისტემისათვის გაწეული მხარდაჭერის გამო, სადაც განლაგებულია მტაცებლური მონოპოლიების შტაბ-ბინები.

ფოტოობიექტივშია

ინდოეთი



კალკუტის ცენტრში აღმართულია ვ. ი. ლენინის ძეგლი (სურათზე მარცხნივ), რომლის ავტორია საბჭოთა მოქანდაკე ნ. ტომსკი. წელიწადში ორჯერ — 7 ნოემბერსა და 22 აპრილს — ძეგლს გვირგვინებით ამკობენ ინდოეთის პროგრესული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების — პროფკავშირული, ქალთა, ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები. და ეს შემთხვევითი არ არის. კალკუტა — მშრომელთა ქალაქი, ინდოეთის მსხვილი სამრეწველო და სავაჭრო ცენტრი — ოდითგანვე ცნობილია თავისი რევოლუციური ტრადიციებით. აქ ჩაღდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ინგლისის კოლონიური ბატონობის პერიოდში.

ინდოეთში წლითიწლობით იზრდება რუსული ენისადმი ინტერესი. ამჟამად მას სწავლობენ 50-ზე მეტ უმაღლეს სასწავლებელში, ბევრ კოლეჯში. რუსული ენის დაუფლებაში მათ ეხმარებიან კვალიფიციური საბჭოთა პედაგოგები. ოსმანის უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრაზე ინდოელი და საბჭოთა მასწავლებლები განიხილავენ მორიგი გამოცდების გეგმას (სურათზე მარჯვნივ).

ბომბეის — ინდოეთის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო და კულტურული ცენტრის — მუნიციპალიტეტის კომპლექსი (სურათზე ქვემოთ).

საკდესის ფოტო.

მოკავშირეებზე ზეგავლენის გასაძლიერებლად

ბრიუსელი. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი კ. უაინბერგერი ბრიუსელში ჩამოვიდა. იგი მონაწილეობას მიიღებს ნატოს სამხედრო დაგეგმვის კომიტეტის აქ გახსნილ სესიაში.

როგორც პოლიტიკურ მიმომხილველებს მიაჩნიათ, პენტაგონის შეფი სესიაზე კვლავ ეცდება ზეგავლენა მოახდინოს შეერთებული შტატების ნატოელ მოკავშირეებზე, რათა მათ არა მარტო მხარი დაუჭირონ ვაშინგტონის ეგრეთ წოდებული „სტრატეგიულ თავდაცვითი ინიციატივას“, არამედ პირდაპირი, აქტიური მონაწილეობაც მიიღონ ამ ინიციატივის რეალიზაციაში. როგორც ცნობილია, „კოსმოსური ომების“ პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს კოსმოსური ბაზირების ელემენტებიანი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ფართო მასშტაბის სისტემის შექმნასა და განლაგებას, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორთა შორისაც კი სერიოზულ წუხილსა და შეშფოთებას იწვევს. ზოგიერთი მათგანი დარწმუნებულია, რომ ამ პროგრამის განხორციელება მკვეთრად გააძლიერებს გამალებულ ბირთვულ შეიარაღებას, კოსმოსური სივრცის ინტენსიურ მილიტარიზაციას.

ცდილობს რა გატეხოს „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივისადმი“ წინააღმდეგობა, რომელიც მთელი სიცხადით გამოვლინდა შვიდი უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნის ხელმძღვანელთა ამასწინანდელ ბონის თათბირზე, კ. უაინბერგერი აპირებს მიმართოს დაყვავება-დაშინების პოლიტიკას. ზოგიერთი მონაცემით, მას ბრიუსელში მიაქვს „კოსმოსური ომებისათვის“ მზადებასთან დაკავშირებული მრავალმილიო[illegible]

იტალია

დიდი ბელადის სახელობისა

რომი. [illegible] ერთ-ერთ რაიონში [illegible] ვ. ი. ლენინის სახელობის „მოედანი“ [illegible] ესწრებოდნენ იტალიის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, დედაქალაქის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები, „იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების, მთელი რიგი პროგრესული დემოკრატიული ორგანიზაციების აქტივისტები, სსრ კავშირის საელჩოს წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

მოედანზე შეკრებილთა წინაშე გამოვიდა რომის მერი უგო ვეტერე. მან აღნიშნა იმ ფაქტის უდიდესი მნიშვნელობა, რომ იტალიის დედაქალაქში იხსნება მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის სახელწოდების მოედანი. „ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა პატივი გამეხსნა ეს მოედანი“, — თქვა მან, ამით ჩვენ პატივს მივაგებთ დიდი ლენინის ხსოვნას, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მთელი კაცობრიობის ისტორიაში.

დამსწრეთა ტაშის გრიალში რომის მერმა და სსრ კავშირის ელჩმა იტალიაში ერთად გახსნეს მარმარილოს ფილა წარწერით „ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანი“.

პრესა ადასტურებს

კორპორაციების „ოქროს ძარღვი“

ნიუ-იორკი. რეიგანის ადმინისტრაცია აფართოებს სამუშაოებს „კოსმოსური ომების“ პროგრამის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს კოსმოსური ბაზირების ელემენტებიანი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ფართო მასშტაბის სისტემის შექმნას.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, ა. ლოურენსის სახელობის რადიაციის ლაბორატორიაში მიმდინარეობს კვლევა ლაზერული დანადგარების შემუშავების დარგში. ლაზერის სხივების კონის ფოკუსირების მეთოდებს, რომლებიც გათვალისწინებულია დედამიწისირგვლივ სივრცეში სამიზნეების დასაზიანებლად, ცდიან ნევადის შტატის ბირთვულ პოლიგონზე. 23 მარტს, მაგალითად, მოეწყო ერთ-ერთი მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება, რომლის დროსაც შემოწმდა კოსმოსური შეიარაღების სისტემების კომპონენტები.

გაზეთ „ნიუსდეის“ ცნობით მთელმა რიგმა კორპორაციებმა, მათ შორის „ჰიუზ ეირკრაფტმა“, „ლოკჰიდმა“, „მარტინ-მარიეტამ“, „მაკდონელ-დუგლასმა“ და სხვებმა, მიიღეს პირველი ათი კონტრაქტი, თითოეული მილიონი დოლარის ღირებულებისა, „კოსმოსური ომების“ პროგრამის ფარგლებში კვლევითი სამუშაოებისათვის. კორპორაციები მათ „ოქროს ძარღვად“ მიიჩნევენ, შენიშნა საკონსულტაციო ფირმის „ანალიტიკ დისიპლინს ინკის“ სპეციალისტმა არვიდ ლარსონმა.

ახლო აღმოსავლეთი

ახალი სისხლიანი დანაშაული

დამასკო. სისხლიანი დანაშაული ჩაიდინეს ისრაელმა სიონისტებმა მკვიდრი არაბი მოსახლეობის წინააღმდეგ თელ-ავივის მიერ დაპყრობილ ღაზის სექტორში. 20 მაისს ისრაელის ჯარების მიერ დაპყრობილი ღაზის სექტორის ადმინისტრაციული ცენტრის შესასვლელთან მოწყობილ საკონტროლო პუნქტში ჯარისკაცებმა ცეცხლი დაუშინეს იქ თავმოყრილ ავტომანქანებს, რომლებშიც ადგილობრივი მცხოვრებლები ისხდნენ. ბარბაროსული აქციის შედეგად 10 არაბი დაიჭრა, აქედან 4 — მძიმედ.

ეს ისრაელის მხედრიონის პირველი დანაშაული არ არის მის მიერ დაპყრობილ არაბულ ტერიტორიებზე. უკანონო დაპატიმრებანი, ჩხრეკა, პატიმართა წამება, დახვრეტა — ასეთია ღაზის სექტორში, მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ლიბანის სამხრეთ რაიონებში მცხოვრები ბევრი არაბის ხვედრი.

კუბის მტკიცე პროტესტი

ნიუ-იორკი. კუბის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მტკიცე პროტესტი განაცხადა გაუთავებელი ფსიქოლოგიური ომის გამო, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები თავისუფლების კუნძულის წინააღმდეგ აწარმოებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი წერილში ძირგამომხილველი სადგურის „რადიო მარტის“ ანტიკუბური პროგრამების ეთერში გადაცემის დაწყების გამო ნათქვამია, რომ „ეს ნაბიჯი მიზნად ისახავს კუბის გარშემო დაძაბულობისა და კონფლიქტის ატმოსფეროს შექმნას“. ამ ცილისმწამებლური რუპორის მეშვეობით, რომელიც სოციალისტური რესპუბლიკისათვის ყოველდღიურად 14 საათიან პროგრამას გადასცემს, ვაშინგტონი იმედოვნებს გააქტიუროს თავისი მეცადინეობა კუბაში არსებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობისათვის ძირის გამოსათხრელად.

პენტაგონის შეფის უაინბერგერის ვოიაჟი

ნიანი კონტრაქტების სია, რომლებიც ვაშინგტონს სურს გააფორმოს მოკავშირეებთან იმ შემთხვევაში თუ ისინი დაჰყვებიან მის ნებას.

თავდაცვის მინისტრის ვოიაჟის მეორე ძირითადი მიზანია მოპოვოს იმის დადასტურება, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საშუალო სიშორის ამერიკული რაკეტული განლაგების ნატოსეული გეგმები კვლავაც განხორციელდება გრაფიკის შესაბამისად.

ფესტივალი

გამარჯვებულებს

ასახელებს

მინსკი, 20 მაისი (საკდესის კორ.). ხალხის ცხოვრებასთან კინოხელოვნების მჭიდრო კავშირი ცხადყო XVIII საკავშირო კინოფესტივალმა, რომელიც დღეს დამთავრდა მინსკში. ჟიურიმ დაასახელა ამ წარმომადგენლობითი დათვალიერების გამარჯვებულნი.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის სპეციალური პრიზი და დიპლომი მიენიჭა დილოგია „გამარჯვებას“ („მოსფილმი“).

გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ფესტივალის მთავარი სპეციალური პრიზი და დიპლომი მიენიჭა ლიტვის კინოსტუდიის ფილმს „რაზმს“. მთავარი სპეციალური პრიზი და დიპლომი გადაეცა აგრეთვე რეჟისორ ს. გერასიმოვს ფილმის „ლევ ტოლსტოის“ დადგმისათვის (მ. გორკის სახელობის კინოსტუდია). მთავარ პრიზებსა და დიპლომებს წაიღებენ შინ სურათების „თეთრი ჯიქის შთამომავლის“ („ყირგიზფილმი“), „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობის“ („ქართული ფილმი“), „ჩვენი ბავშვობის ტანგოს“ („სომხეთფილმის“) შემქმნელები.

ფესტივალის პრიზები გადაეცათ: საუკეთესო რეჟისურისათვის — ფილმის „სიცოცხლე, ცრემლი, სიყვარულის“ დამდგმელს ნ. გუბენკოს („მოსფილმი“), საუკეთესო ოპერატიული ნამუშევრისათვის — ლ. პატაშვილს, რომელმაც გადაიღო ფილმი „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“; ყველაზე მკაფიო და საინტერესო დებიუტისათვის — ფილმის „ტაში, ტაში...“ რეჟისორს ე. ბუტურლინს („ლენფილმი“). ფესტივალის პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის დაიმსახურა მსახიობმა ფ. ნიკიტინმა, რომელიც მონაწილეობს ფილმში „სიცოცხლე, ცრემლი, სიყვარული“, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის აღინიშნა გ. ნოვენცი („ჩვენი ბავშვობის ტანგო“).

საბავშვო და საყმაწვილო ფილმების კონკურსში ჟიურიმ საუკეთესოდ ცნო ფილმები „ჩიორა“ („ქართული ფილმი“), „ვერა, ნადეჟდა, ლუბოვი“ („მოსფილმი“), „კეთილი განზრახვა“ (ა. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდია).

დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების კონკურსის ჟიურიმ მთავარი სპეციალური პრიზი მიანიჭა სურათებს — „მარშალი ჟუკოვი. ბიოგრაფიის ფურცლები“ (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია) და „ომს ქალის სახე არა აქვს“ („ბელარუსფილმი“). მთავარი პრიზები მიენიჭათ კინოტრილოგია „ნერუს“, რომელიც შეიქმნა „ცენტრსამეცნიეროფილმისა“ და ინდოეთის „ფილმზ დივიჟენის“ სტუდიის თანამეგობრობით, და ლატვიელ კინოდოკუმენტალისტებს ფილმისათვის „საშიშ ზღვრამდე“.

მულტიპლიკაციურ ფილმებს შორის ჟიურის პრიზი და დიპლომი გადაეცა ფილმს „მოვა ალერსიანი წვიმა“ („უზბეკფილმი“). საბავშვო საუკეთესო მულტიპლიკაციურ ფილმად დასახელებულია „ფრთხილად, მაიმუნები!“ („საკმულტფილმი“).

კინემატოგრაფისტებს თავიანთი პრიზები და დიპლომები გადასცეს ბელორუსიის სსრ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და შემოქმედებითი კოლექტივების წარმომადგენლებმა.

საქმეს ქომაგობა უნდა!

ვერტყვიჭალა ორჯონიკიძის რაიონის ერთ-ერთი ლამაზი სოფელია. მშრომელი ხალხი ცხოვრობს ამ სოფელში, მათ განსაკუთრებით უყვართ ვაზი. ბევრი სოციალისტური შრომის გმირი და ორდენოსანი აღზრდილა აქ, რომელთა უმრავლესობა დღესაც სასახელოდ შრომობს.

შრომასთან ერთად კულტურული დასვენებაც იციან ვერტყვიჭალაში. სიმღერა და მუსიკა სოფლის ჭირისა და ლხინის განუყოფელი ნაწილია, პედაგოგ დ. ციცქიშვილის მიერ 65 წლის წინათ დაარსებული დრამატული წრეც შინაარსიანად განაგრძობს მუშაობას. სწორედ ამ ტრადიციებმა განსაზღვრეს, რომ სოფელ ვერტყვიჭალაში სასოფლო კლუბის ბაზაზე კულტურის სახლი გახსნილიყო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ამ სოფლის მკვიდრი, ხელოვნების თავგამოდებული ქომაგი, რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრი, რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალების ლაურეატი ვასილ ბლიაძე.

კულტურის სახლში ნიჭიერი ახალგაზრდობა და გამოცდილი ენთუზიასტები მიიზიდეს. მაგალითად, კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად მოვიდა თბილისის ს. ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის სარეჟისორო განყოფილების კურსდამთავრებული, ამ სოფლის მკვიდრი ნოდარ სამხარაძე. წრეების ხელმძღვანელობა დაევალათ ვერტყვიჭალის საშუალო სკოლის პედაგოგებს ნანა ლამბაშიძეს, ნოდარ მუმლაძეს, ზაირა ხაჩიძეს, ქუთაისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებულს, ქორეოგრაფ მერაბ ბარბაქაძეს, სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულს მაია გოგოლაძეს.

სიმღერის გუნდს ხელმძღვანელობს კულტურის სახლის დირექტორი ვ. ბლიაძე. გუნდი, რომელსაც რეპერტუარში აქვს ქართული ხალხური სიმღერები და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, წარმატებით მონაწილეობს რაიონულ ოლიმპიადებში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელის ნოდარ სამხარაძის საქმიანობა. იგი სათავეში უდგას დრამატულ წრეს და ბავშვთა ექსპერიმენტულ თეატრ-სტუდიას.

დრამატულმა წრემ ბოლო ორი წლის განმავლობაში დადგა და მაყურებელს უჩვენა ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „თეთრი ბაირაღები“, დ. კლდიაშვილის „უბედურება“, გ. ერისთავის „დუნწი“, რ. მამულაშვილის „მერხებზე ანგელოზები სხედან“.

მოსწავლეთა ექსპერიმენტულ თეატრ-სტუდიაში გაერთიანებული არიან ვერტყვიჭალის საშუალო სკოლის მეხუთე-მეშვიდე კლასის მოსწავლეები. სტუდიაში მოსწავლეები სწავლობენ თეატრის ისტორიას და მსახიობის ოსტატობის ელემენტებს, ეუფლებიან მეტყველებისა და სასცენო პლასტიკის წესებს.

ნორჩ სცენისმოყვარეებს მეგობრული ურთიერთობა აქვთ ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრთან, ნახეს ქუთაისის, ბათუმის, თბილისის მარჯანიშვილის თეატრებისა და მეტეხის თეატრის სპექტაკლები.

კულტურის სახლში ნაყოფიერად მუშაობს აგრეთვე ქორეოგრაფიული წრე, ვოკალური ჯგუფი, ლიტერატურულ-შემოქმედებითი და ფორტეპიანოს წრეები, ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანებანი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ლიტერატურულ-შემოქმედებითი გაერთიანების მუშაობა, რომელსაც პედაგოგი ზ. ხაჩიძე ხელმძღვანელობს. აქ განიხილავენ პოეზიის სიყვარულით გულანთებული მოსწავლეების პირველ ნაწარმოებებს, იმართება დისპუტები, თეორიული კონფერენციები, მხატვრული საღამოები, აგროვებენ ფოლკლორულ ნიმუშებს. წელს გაერთიანების ძალებით მომზადდა ვაჟა-ფშაველას და გალაქტიონის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოები.

ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელმაც დიადი გამარჯვების 40 წლისთავს მიუძღვნა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ნეტავი ყველას დღეგრძელმა იყოს, ვინც კვლავ ეცადოს, რომ დაარღვიოს ქვეყნად მშვიდობა“. ამ პროგრამით ბრიგადამ ბევრი სოფელი მოიარა და მოემსახურა მშრომელებს.

კულტურის სახლთან შექმნილია ახალგაზრდული კლუბი „ოცნება“, რომლის მიზანია სოფლის ახალგაზრდობის თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენება, მათი გართობა-დასვენების სწორი ორგანიზაცია.

კლუბში ადგილობრივი და მოწვეული ლექტორები ხშირად მართავენ საინტერესო საუბრებს ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემებზე, ეწყობა ლიტერატურული განხილვები, მუსიკალური და სპორტული გართობა-თამაშობანი, მხიარული ატრაქციონი, გონებამახვილთა და საზრიანთა პაექრობანი, საჭადრაკო ცეკვები და სხვა მასობრივი ღონისძიებები. ეწყობა ხოლმე ახალი კინოფილმების გარჩევაც, შეხვედრები სამამულო ომის ვეტერანებთან, მრავალშვილიან დედებთან, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებთან. ახალგაზრდების ენთუზიაზმით მალე მწყობრში ჩადგება სპორტული მოედანი, სადაც გაიმართება თეატრალიზებული სანახაობანიც.

როცა ვერტყვიჭალის კულტურის სახლის დადებით მუშაობაზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ თვითონ კულტურის სახლის შენობა შეკეთებას მოითხოვს, მოსაგვარებელია ტრანსპორტის საკითხიც, თორემ ძველი უკვე სადაცაა მწყობრიდან გამოვა.

• • •

ზემო იმერეთის ერთ-ერთი ლამაზი სოფელია ნიგოზეთიც, რომელიც ქალაქ ჭიათურის ზონაში შედის. განსაკუთრებით გამოირჩევა ცენტრი, სადაც სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციული შენობა დგას. ამ შენობაშია მოთავსებული კულტურის სახლი, რომელსაც კარგად გამართული სცენა, მშვენიერი მაყურებელთა დარბაზი და სამუშაო ოთახები აქვს.

შენობას არა უშავს, მაგრამ მუშაობისა რა მოგახსენოთ. კულტურის სახლის დირექტორი გიორგი გელაშვილი ახალბედა როდია; იგი ათი წელია მუშაობს, მაგრამ ვაი, ამ მუშაობას. როცა გეგმებს გადავხედეთ, იქ მოცემული საკითხები თითქმის ვერ უპასუხებს კულტურის სახლის საქმიანობის ელემენტარულ მოთხოვნებს. ხელმოუწერელი გეგმები უბრალო რვეულშია ფორმალურად ჩაკერებული. პირველი კვარტალის სამუშაო გეგმაში ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისა და დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად, საერთოდ არაფერი იყო გათვალისწინებული. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ მუშაობის გეგმაზომიერებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ვითომ არსებული 9 წრიდან, მხოლოდ დრამატული და ქორეოგრაფიული წრეები მუშაობენ შემთხვევიდან შემთხვევამდე. საქალაქო კულტურის განყოფილების და კულტურის სახლის მეთოდისტები იშვიათად, თანაც ფორმალურად ამოწმებენ ნიგოზეთის კულტურის სახლის მუშაობას.

ალბათ ერთხელ კიდევ უნდა შევახსენოთ ნიგოზეთის კულტურის სახლის მესვეურებს რესპუბლიკის მარშანდელი პარტიული აქტივის კრების მოთხოვნა, რომ დღეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი პარტიის მძლავრი იარაღია, რომელსაც ძალუძს კომპლექსურად გადაწყვიტოს მასების კომუნისტური აღზრდის ბევრი ამოცანა, ხელი შეუწყოს ჩვენი საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებას, თანამედროვე დონის შესაბამისი ახალი სოციალური ურთიერთობის განვითარებას.

მართალია, ძნელია სოფლად ამ სფეროში მუშაობა. არის დაბრკოლებები, მაგრამ ვისაც საქმისათვის გული შესტკივა, იგი სიძნელეებს არ უშინდება.

ბ. შარიქაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქართული მწერლობის ჰორიზონტები

ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდესმა გამომცემლობამ „ფოლკ უნდ ველტმა“ გერმანულ ენაზე გამოსცა და მთელი გერმანულენოვანი სამყაროსათვის მისაწვდომი გახადა მეოცე საუკუნის ქართველ მწერალთა მოთხრობების კრებული „შორი თეთრი მწვერვალი“.

კრებული შეადგინა გერმანელმა ქართველოლოგმა შტეფი ხოტივარ-იუნგერმა, ბოლოსიტყვაობის ავტორია კრიტიკოსი ზაზა აბზიანიძე. აქ წარმოდგენილია ნიკო ლორთქიფანიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, დემნა შენგელაიას, ლევან გოთუას, ლადო ავალიანის, ოთარ ჩხეიძის, ნოდარ დუმბაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, ოტია იოსელიანის, რევაზ ინანიშვილის, არჩილ სულაკაურის, მერაბ ელიოზიშვილის, თამაზ ჭილაძის, გურამ დოჩანაშვილის, ჯემალ ქარჩხაძის, ანა მხეიძის ნაწარმოებები.

კრებულის დროულ და მაღალხარისხოვან გამოცემას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის დახმარებამ.

სატურნირო ორბიტა

ველოსპორტი. მშვიდობის ველორბოლის მეათე ეტაპი (პოლონეთის ქალაქი შჩეცინი — გდრ-ის ქალაქი ნოიბრანდენბურგი, 146 კმ) მოიგო საბჭოთა სპორტსმენმა რიხო სუუნმა. ეტაპებზე ეს მისი მესამე წარმატებაა. ათი ეტაპის ჯამით პირად ჩათვლაში კვლავ პოლონელი ლეხ პიასეცკი ლიდერობს, გუნდურში — სსრ კავშირის ნაკრები.

ჭადრაკი. ტუნისში დამთავრდა ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობის საზონათშორისო შეჯიბრება. საბჭოთა მოჭადრაკეებმა იუსუპოვმა (11,5 ქულა) და ბელიავსკიმ (11) შესაბამისად პირველი-მეორე ადგილები დაიკავეს. უნგრელმა პორტიშმა 10 ქულა დააგროვა. ამ მოჭადრაკეებმა შემდგომ ეტაპში — პრეტენდენტთა ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს. სსრ კავშირის წარმომადგენლებმა გავრიკოვმა და ჩერნინმა 9,5-9,5 ქულა დააგროვეს და მათ შორის დამატებით მატჩში გაირკვევა პრეტენდენტთა ტურნირის მეოთხე საგზურის მფლობელი. ივანის-ივალისში კიდევ ერთი საზონათშორისო შეჯიბრება (მექსიკაში და შვეიცარიაში) გაიმართება.

ვოლგოგრადში მიმდინარე სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატის მეოთხე ტურში საქართველოს მოჭადრაკეებმა დაამარცხეს რუსეთის ფედერაციის პირველი ნაკრები (4,5:3,5), მეხუთეში — ლატვიისა (4,5:3,5).

ფეხბურთი. მსოფლიო პირველობის მეთხე შესარჩევ ჯგუფში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი. ბერლინში გდრ-ის ნაკრებმა მიიღო ლუქსემბურგის გუნდი და დაამარცხა იგი ანგარიშით 3:1. ამ ჯგუფში 8 ქულით (10 შესაძლებლიდან) ლიდერობს იუგოსლავიის ნაკრები. ბულგარელებს — 7, ფრანგებს — 7, გერმანელებს — 4 ქულა აქვთ (სამივეს — 10-10 შესაძლებლიდან), ლუქსემბურგელებს — 0 (12-დან).

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რომ უნგრეთში დაწყებულ 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა არაოფიციალური ჩემპიონატის პირველი ორი მატჩი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს (უნგრელებთან — 2:0 და გფრ-ის გუნდთან — 2:1). გაგაცნობთ იმ საბჭოთა ფეხბურთელებსაც, რომელთაც ამ შეხვედრებში ბურთები გაიტანეს: უნგრელებთან მატჩში — კასუმოვმა და მამუკა ფანცულაიამ, გერმანელებთან შეხვედრაში კი კობელევმა და ვასილ მიქაშავიძემ. ფანცულაიაც და მიქაშავიძეც თბილისის „დინამოს“ წარმომადგენლები არიან.

გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურის შეხვედრები. გთავაზობთ შედეგებს: დასავლეთის ზონა. სტავროპოლის „დინამო“-ნიკოპოლის „კოლოსი“ — 1:0, ორჯონიკიძის „სპარტაკი“-ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ — 1:1, აბოვიანის „კოტაიკი“-კიშინიოვის „ნისტრუ“ — 1:0, კრასნოდარის „ყუბანი“-ლვოვის ასკ „კარპატი“ — 0:2. ამ ზონაში პირველი წრის ერთი მატჩი დარჩა გასამართავი: ლანჩხუთის „გურია“ — რიგის „დაუგავა“. ამ შეხვედრის წინ პირველ ექვსეულში გუნდები ასეთი თანამიმდევრობით არიან განლაგებულნი: ასკ „კარპატი“ — 13 ქულა, „კოლოსი“ — 12, „დაუგავა“, ბათუმის „დინამო“, სტავროპოლის „დინამო“ — 11-11 და „სპარტაკი“ — 10 ქულა. ლანჩხუთის „გურია“ 6 ქულით ბოლო, მეთერთმეტე ადგილზეა; აღმოსავლეთის ზონა. ვოლგოგრადის „როტორი“-სმოლენსკის „ისკრა“ — 2:1, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“-ცსკა — 2:2, იაროსლავლის „შინიკი“-ხაბაროვსკი ასკ — 3:1, მოსკოვის „ლოკომოტივი“-კემეროვოს „კუზბასი“ — 1:0. ამ ზონაში ლიდერთა ჯგუფში არიან: „შინიკი“ — 14 ქულა, ხაბაროვსკის ასკ, „ფახთაქორი“, ცსკა, „კრილია სოვეტოვი“ და „ლოკომოტივი“ — 11-11 ქულა.

მეცნიერთა ლაბორატორიებში

დებით კონტაქტებს საზღვარგარეთის ქვეყნების მონათესავე ორგანიზაციებთან. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს ფილიალი მონაწილეობს ერგონომიკული ნორმებისა და მოთხოვნების სამეცნიერო საფუძვლების შემუშავების პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პროგრამაში.

სურათებზე: უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ლალი ელიზბარაშვილი უჩვენებს ახალ ნამუშევრებს; სამრეწველო გრაფიკის განყოფილებაში.

ი. შლამოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დიზაინის ეფექტიანობა

„დიზაინი ხარისხია, დიზაინი ეფექტიანობაა“ — ასეთი დევიზით მუშაობს ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის — რესპუბლიკაში მხატვრულ კონსტრუირების საბაზო დარგთშორისი საპროექტო-მეთოდიკური ცენტრის კოლექტივი.

თანამედროვე დიზაინი ახალი ტიპის საქმიანობაა. ეს სინთეზური პროფესიაა.

მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე საქართველოს დიზაინერებმა შეიმუშავეს მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის ნაკეთობათა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის ასობით პროექტი, რომლებსაც ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიეკუთვნათ.

ქართველი დიზაინერები წარმატებით ავითარებენ შემოქმე-

ექსპერიმენტის სიკეთეს ჩრდილს ნუ მივაყენებთ

კურორტი და დამსვენებელი

ამიერიდან კურორტ გაგრაში დასასვენებლად უსაგზუროდ ჩამოსულ სტუმრებს შეუძლიათ ისარგებლონ სრული საკურორტო სერვისით. ამის გარანტიას იძლევა სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ახლადშექმნილი მშრომელთა საკურორტო მომსახურების ტერიტორიული დარგთაშორისი გაერთიანება. მომსახურების ეს ექსპერიმენტული ფირმა წელს უკვე სულ ცოტა 300 ათას დამსვენებელს მიიღებს. მისი ფუნქციებია უსაგზუროდ ჩამოსული სტუმრების კომპლექსური მომსახურება რკინიგზის სადგურზე და აეროპორტში ტრანსპორტით დახვედრა, მოსახლეობისაგან წინასწარ დაქირავებულ ბინებში მათი მოთავსება, ასევე სამედიცინო და საპლაჟო მომსახურება, საზოგადოებრივი კვების და კულტურული დასვენების ორგანიზაცია, სამგზავრო ბილეთებით უზრუნველყოფა.

— ეს ექსპერიმენტი, — ამბობს საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. კაპბა, — მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში. უსაგზურო დამსვენებელთა მომსახურების ორგანიზება სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ითავა, რამაც ერთგვარად კურორტის შემდგომი განვითარების და კეთილმოწყობის პრობლემა გადაწყვიტა. მომსახურების ახალი ფორმა სტუმრის მარტო სრულყოფილ მომსახურებას კი არ გულისხმობს, არამედ იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მისგან მიღებული სახსრები ქალაქის ბიუჯეტს შემატება. ასეთი ექსპერიმენტი ჩვენს ქვეყანაში პირველად ეწყობა. მისმა პირველმა ნაბიჯმა სიკეთეც მოიტანა, საკურორტო მომსახურების ყველა სფერო გააერთიანა. ახალი ფორმა იყენებს პოლიკლინიკური გაერთიანებების, რესტორნების, სასადილოების, კულტურის კერების, სატრანსპორტო და საექსკურსიო ორგანიზაციების მომსახურებას.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტი ბევრად შეუწყობს ხელს ჩვენი დევიზის — „გადავაქციოთ გაგრა სანიმუშო საკურორტო ქალაქად!“ — განხორციელებას.

ამიტომაც გაგრაში, როგორც ყოველთვის, წელს დროულად შეუდგნენ საკურორტო სეზონისათვის მზადებას. ამ მიზნით აქ ბევრი რამ გაკეთდა.

გაგრის პროფკავშირთა კურორტების მართვის ტერიტორიული საბჭოსა და უწყებრივ ჯანმრთელობის კერებში უკვე შესრულდა საძინებელი კორპუსების, კვების ბლოკების, ინტერიერების მიმდინარე რემონტი. შექმნილია ყველა პირობა მშრომელთა მკურნალობისა და დასვენებისათვის. ახალი სეზონისათვის მზადებასთან დაკავშირებით აქ დიდი ყურადღება მიექცა ჯანმრთელობის კერების სამკურნალო ბაზების განვითარებას. სამკურნალო დიაგნოსტიკური კაბინეტები შეივსო თანამედროვე სამედიცინო აპარატურითა და მოწყობილობით.

ბოლო წლებში კურორტ გაგრაში საგრძნობლად გაფართოვდა ჯანმრთელობის კერების ქსელი, აშენდა ახალი პანსიონატები და დასასვენებელი სახლები. საექსპლოატაციოდ გადაეცა დასასვენებელი სახლი „საარქივო ფონდი“, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს კლიმატურ-ბალნეოლოგიური და სარეაბილიტაციო ცენტრი. მიმდინარეობს ახალი 500-ადგილიანი პანსიონატის „ცივწყაროს“ მშენებლობა, დასასრულს უახლოვდება სანატორიუმ „უკრაინას“ რეკონსტრუქციის სამუშაოები.

საგრძნობლად განმტკიცდა სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კურორტის ჯანმრთელობის კერებში მუშაობენ კვალიფიციური კადრები.

გაგრაში სათანადო ყურადღება ექცევა ოჯახის დასვენების განვითარების საკითხებს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დასასვენებელ დაწესებულებებში ბავშვებიანი მშობლებისათვის ადგილების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა.

უცხოელ ტურისტთა მიღებისა და მომსახურებისათვის დაძაბულად ემზადება კურორტ ბიჭვინთის კოლექტივი. უკვე შესრულებულია სარემონტო სამუშაოები კურორტის პანსიონატებში, სასადილოებში, კეთილმოეწყო კურორტის ტერიტორია, შეკეთდა პლაჟის ინვენტარი. გაგრაში კეთილმოეწყო ახალი სასტუმრო „აფხაზეთის“ ტერიტორია, სადაც მიმდინარეობს ბარ „კარაველას“ აღდგენითი სამუშაოები, აშენდა ბავშვთა სათამაშო მოედანი. მალე დასრულდება ქალაქის პარკის სეზონისათვის მომზადების, გაზონების, მწვანე დეკორატიული კუთხეების გაფორმების სამუშაოები.

სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ზრუნავენ ნაყინისა და გამაგრილებელი სასმელების გასაყიდი ქსელის განლაგება-გაფართოებისათვის: განზრახულია საზოგადოებრივი კვების ბუფეტების გატანითი ვაჭრობა, ხოლო პლაჟის ზონაში „ფინური სამზარეულოს“ პავილიონების დადგმა. საზაფხულო სეზონისათვის გაგრაში გაიხსნება ორი ახალი კაფე. მიმდინარეობს რესტორნების მუშაობის დღის რეჟიმის გადახალისება იმ ანგარიშით, რომ ისინი დღისით მუშაობდნენ როგორც ჩვეულებრივი სასადილოები. ასევე გათვალისწინებულია გაიზარდოს დიეტური კერძების დასამზადებელი სასადილოების რიცხვი.

ახალ სეზონში ჯანმრთელობის კერებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების ხილითა და ბოსტნეულით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით წინასწარ დაიდო ხელშეკრულებები სათანადო ორგანიზაციებთან.

სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებმა განაცხადების თანახმად უკვე მიიღეს საკურორტო მოთხოვნილების ფართო ასორტიმენტის საქონელი, რომლის სარეალიზაციოდ ორგანიზებულია ვაჭრობა მასობრივი დასვენების ადგილებში, ხოლო კურორტის საკოლმეურნეო ბაზრის მოედანზე გახსნილია სამრეწველო და საკურორტო საქონლის მუდმივმოქმედი ბაზრობა.

კურორტზე უსაგზუროდ ჩამოსულ დამსვენებელთა მომსახურებაში სიახლის დანერგვასთან დაკავშირებით მოსალოდნელი იყო, რომ საზაფხულო სეზონის დადგომამდე აქ ყველა სიძნელეს გაითვალისწინებდნენ და ყველაფერს იღონებდნენ მათი გადალახვისათვის. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. როგორც წინა წლებში, კურორტი საზოგადოებრივი კვების სისტემაში ადგილების ნაკლებობას განიცდის. ვინ არ იცის, რომ დაბა ლესელიძის ზონაში ზაფხულობით განსაკუთრებული ხალხმრავლობაა და აქ მწვავედ დგას საკითხი, თუ სად ისადილონ დამსვენებლებმა. საზოგადოებრივი კვების სასადილოებში შეიძლებოდა დაენერგათ თვითმომსახურების პროგრესული მეთოდი, რათა დამსვენებლებს სადილის მისაღებად დიდი ხნის ლოდინი არ სჭირდებოდეთ. ამას წინათ რეკონსტრუქციის შემდეგ გაგრის კოოპკავშირმა აქ გახსნა პირველი კლასის რესტორანი. უდავოა, რომ კურორტზე კარგი რესტორანიც საჭიროა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა საზოგადოებრივი კვების ამ ობიექტს დღის საათებში ემუშავა, როგორც ჩვეულებრივ სასადილოს და ხელმისაწვდომ ფასებში ესადილათ დამსვენებლებს. ამ რესტორნის მესვეურებს რომ ვკითხეთ ამის თაობაზე, გვიპასუხეს, ხორცისა და სხვა ფონდირებული პროდუქტების უქონლობის გამო რესტორანი დღის საათებში სასადილოს ფუნქციებს ვერ შეასრულებსო. რადგან რესტორანი მხოლოდ თვითშესყიდვის მეთოდით მუშაობს და მაღალი ფასებით ვაჭრობს.

საზაფხულო სეზონს მოუმზადებელი ხვდება კოოპკავშირის სავაჭრო ცენტრი. აქ იმისთვისაც კი არ შეუწუხებიათ თავი, რომ შენობა წესრიგში მოეყვანათ, შეეკეთებინათ ბარის და სასურსათო მაღაზიის მოძველებული ბათქაშჩამონგრეული კედლები, შეეღებათ ისინი, წაეშალათ წარწერები, შეერემონტებინათ კაფეში შესასვლელი კარიც, ამოეწმინდათ ბაყაყების ბუდედ გადაქცეული შადრევნის აუზი. აქაური მუშაკები შეეჩვივნენ საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევას. ამ სავაჭრო ცენტრის სავალანტერეო, სამეურნეო და სხვა სექციებში საქონელს ფასები არ აწერია.

ბევრ სხვა უწესრიგობას წავაწყდით იმ დღეს ლესელიძეში. კოოპკავშირის საკონდიტრო ნაწარმის საამქრო, იმის გამო, რომ არ შეუკეთებიათ, უფერულად გამოიყურება, ირგვლივ ანტისანიტარიაა.

კურორტის რომელი ობიექტი უნდა იყოს სანიმუშოდ მოწყობილი და მოვლილი, თუ არა სავაჭრო ცენტრი „ჟოეკვარა“. ამ მრავალსართულიან შენობაში მოთავსებულია რესტორანი, სასადილო, ბარები, სამრეწველო და სასურსათო საქონლის მაღაზიები. და ყველა ეს ობიექტი სხვადასხვა უწყებას ეკუთვნის, რის გამოც შენობას ხუთი პატრონი ჰყავს და მოუვლელია. სახურავიდან სართულებს შორის წყალი ატანს, ფუჭდება ჭერი, მოზაიკა, ინტერიერი. შენობაც მთლიანად არ არის გამოყენებული.

კურორტზე მწვავედ დგას ტრანსპორტის საკითხი. ამჟამად გაგრის მგზავრობისა და ექსკურსიების ბიურო წელიწადში თითქმის ერთნახევარ მილიონ კაცს ემსახურება ავტობუსების იმ რაოდენობით, რომლითაც იგი ემსახურებოდა 200 ათას კაცს ოცი წლის წინ. ამ წლების განმავლობაში აქ მხოლოდ ხუთი ავტობუსი მიიღეს. ეს, ცხადია, არ კმარა დამსვენებელთა სრულყოფილი მომსახურებისთვის.

სპეციალური სამაცივრო ავტომანქანების უქონლობის გამო ვერ მოგვარდა ხორცკომბინატიდან სავაჭრო ობიექტებისა და ჯანმრთელობის კერებისათვის პროდუქტების დროული შემოტანის ორგანიზაცია.

დიდი ხანია მომწიფდა საკითხი ვაჭრობის კულტურის გაუმჯობესებისათვის გაგრაში მოეწყოს მშრალი ყინულის დასამზადებელი დანადგარი.

გაგრასა და მის შემოგარენში კვლავ არადამაკმაყოფილებელია საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება, რაც როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე უცხოელი სტუმრებისა და ტურისტების სამართლიან საყვედურებს იწვევს.

დამსვენებელთა მომსახურებაში წვრილმანები არ არსებობს. კურორტის თითოეული მუშაკის ვალია ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ დასასვენებლად ჩამოსული სტუმარი გაახაროს და კარგი განწყობა შეუქმნას.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ა. ედიბერიძე

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 86 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქირურგიული სტომატოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 1939 წლიდან სკპ წევრი, პროფესორი ალექსანდრე იოსების ძე ედიბერიძე.

ა. ედიბერიძე დაიბადა თბილისში. ხაშურის გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1918 წელს, შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 1924 წელს მუშაობას იწყებს ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე. შემდეგ იგზავნება ქ. ლენინგრადში ქირურგიული სტომატოლოგიის დარგში მოსამზადებლად. 1929 წელს ა. ედიბერიძეს ირჩევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლად გახსნილ ოდონტო-სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტად. აქედან იწყება მისი დიდი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა. ა. ედიბერიძის კალამს ეკუთვნის 164 გამოქვეყნებული ნაშრომი, მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა 4 სადოქტორო და 25 საკანდიდატო დისერტაცია. მისი ინიციატივით თბილისში 1931 წელს გაიხსნა სტომატოლოგიური საავადმყოფო. იგი წლების განმავლობაში იყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი, სათავეში ედგა საქართველოს სტომატოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებას, იყო სსრ კავშირის სტომატოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის წევრი.

ა. ედიბერიძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობა სათანადოდ დააფასა საბჭოთა მთავრობამ. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მედლებით, სიგელებით. არჩეული იყო საქალაქო და რაისაბჭოს დეპუტატად.

გულისხმიერი აღმზრდელის, თვალსაჩინო მეცნიერის ა. ედიბერიძის ნათელი სახე მუდამ დარჩება მისი მოწაფეების, მეცნიერების, სტომატოლოგების და იმათ ხსოვნაში, ვინც მას იცნობდა, მასთან მუშაობდა და მკურნალობდა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი; სტომატოლოგთა რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოება.

ჩვენს ტელეეკრანზე

მოსკოვი

22 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოსწავლეთა შეხვედრა საბჭოთა კავშირის გმირთან, ფრონტელ მედდა მ. ზ. შჩერბაჩენკოსთან. 10.20 — ტ. ხრენიკოვი — სიუიტა ბალეტიდან „ჰუსარული ბალადა“. 10.40 — მხატვრული ტელეფილმი „შემოდგომის დილები“. I სერია. 11.45 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — სოფლის ჰორიზონტები. 16.20 — „ძმები ზაველოკინების შაირები“. 16.45 — ალექსანდრე კორნეიჩუკი. 17.45 — ახალი ამბები. 17.50 — „მამის სახლი“. ტელენარკვევი. 18.20 — მხიარული სტარტები. 19.05 — „მეცნიერება და ცხოვრება“. 19.35 — „ტრაგედია შეიძლებოდა არ მომხდარიყო“ სამეცნიერო პოპულარული ფილმი ალკოჰოლიზმის მავნეობის შესახებ. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმი. 20.10 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 20.50 — მხატვრული ტელეფილმი „შემოდგომის დილები“. მეორე სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — პოეზია. ა. სურკოვი. 23.05 — ფილმ-კონცერტი „ჩემი სიმღერა“. 23.50 — დღეს მსოფლიოში. 0.05 — მშვიდობის ველორბოლა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი. 10.05 და 14.10 — გერმანული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ვ. ი. ლენინი — „ჩვენი დღეების მთავარი ამოცანა“. 12.10 — დედის სკოლა. 13.10 — „ვ. ა. ფავორსკის სახელოსნოში“. 15.10 — ვ. მაიაკოვსკი. პოემა „კარგია!“. 16.10 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — მშენებლობაში შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმებისა და ანაზღაურების სრულყოფის შესახებ. 19.50 — „თანატოლი“. კინოჟურნალი. 20.00 — ადამიანი და კანონი. 20.30 — ფეხბურთი. თბილისის „დინამო“ — „არარატი“. მე-2 ტაიმი. 21.15 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.30 — მუსიკალური კიოსკი. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — მხატვრული ტელეფილმი. 23.50 — ახალი ამბები.

თბილისი

22 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.05 — „თვალთაი“. სატელევიზიო ჟურნალი (განმეორებით). 10.50 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყველაფრის დასაწყისი“. 11.20 — „ვერნისაჟი“ — ბელა ბერძენიშვილი (განმეორებით). 11.55 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან“. VII სერია. 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი (სტუდიაშია ვ. კოკილაშვილი). 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — მუსიკალური მხატვრული ფილმი „ღვთისმოსავი მართა“. I და II სერია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ გერმანული ენა (სტუდიაშია ნ. ცინცაძე). 16.45 — თბილისის კინოთეატრების რეპერტუარი. 16.55 — განცხადებები. 17.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საქართველოსათვის სწორდით, ბიჭებო!“. 17.30 — ლიტერატურული გადაცემა — „რაც გამახსენდა“ (კითხულობს მსახიობი მ. ჯინორია). 17.55 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 18.25 — ახალგაზრდობისათვის. „ხუთი ქალაქის საპატიო მოქალაქე“. 19.00 — „მოამბე“. 19.30 — ფეხბურთი. თბილისის „დინამო“ — ერევნის „არარატი“. შესვენებისას (20.15) — გადაცემა — „ჯანმრთელი რომ იყო“. 21.15 — „სტუდენტური დღეები — 85“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 პირველად ჩვენს ეკრანზე. ქართული მხატვრული ფილმი „ყველა კომეტა როდი ქრება“. 23.50 — ინტერვიუ მატჩის შემდეგ. 0.05 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღვის ფერები“. 17.05 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბუნების ნობათი“. 18.10 — მოსწავლეთათვის. ქიმია.

თეატრი

22 მაისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ ჟუანი (55-ე აბონ. I წარმ.); თბილისის სახელმწიფო დრამატული — ტოოტების ოჯახი; მინიატიურების სახელმწიფო — ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები; მოზარდ მაყურებელთა ქართული — ის მაინც ბრუნავს (№ 24, 25 აბონ. 11 ს.), ქამუშაძის გაჭირვება (№ 69, 73, აბონ. 7 ს.).

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

რედაქცია: [illegible]

საკორესპონდენტო პუნქტები: [illegible]

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08629 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.